პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 82 (20728) — კვირა, 8 აპრილი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების წლისთავზე გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებ მთელ ქართველ ხალხს და დაღუპულთა ოჯახებს.

ამ ჟამს მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი პატივისცემა საქართველოსადმი, მისი გამრჯე ხალხისადმი, რომელიც გამოირჩევა სახელოვანი ტრადიციებით, თავისთავადი კულტურით და გულითადობით. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა სიძნელე, გარდაქმნის პრობლემები საქართველოს სს რესპუბლიკაში დაძლეული იქნება და საქართველოს მშრომელები ქვეყნის მოძმე ხალხებთან კავშირით უფრო მკაფიოდ გამოავლენენ თავიანთ ნიჭსა და ენერგიას ნამდვილად დემოკრატიული, ჰუმანური სოციალისტური საზოგადოების შექმნაში.

მ. გორბაჩოვი,
სსრ კავშირის პრეზიდენტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

გაზეთ „პრავდის“ შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო

დადგენილება გაზეთ „პრავდის“ შესახებ

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გარდაქმნის თანამედროვე ეტაპი, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ ცვლილებათა პროცესი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინაშე აყენებს პარტიის, მისი საქმიანობის სტილისა და მეთოდების მკვეთრი განახლების არნახული სართულისა და მასშტაბის ამოცანებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პირობებში, როცა პარტია უარს ამბობს სკკპ ხელმძღვანელი მდგომარეობის კონსტიტუციურ დაკვიდრებაზე. ამასთან დაკავშირებით ახლებურად დგება პარტიის ავანგარდული მაკოსხლოდირებელი როლის განმტკიცების, მასებზე მისი იდეურ-პოლიტიკური გავლენის გაძლიერების ამოცანა, ასევე კონსტრუქციული მუშაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკუთვნის პარტიულ პრესას, უწინარეს ყოვლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „პრავდას“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ გაზეთ „პრავდის“ გამოსვლების დონე არცთუ ისე დიდი ხნის წინათ სრულად ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, მკითხველთა საჭიროებებს. თავისი დანიშნულება რომ შეასრულოს, გაზეთი „პრავდა“, ისევე, როგორც მთელი ჩვენი პარტიული პრესა, აქტიურად უნდა გარდაიქმნას, საბოლოოდ თქვას უარი დოგმატური აზროვნების ელემენტებზე, სტერეოტიპებსა და ფორმალიზმზე. ცოცხალი, რეალური შინაარსით უნდა შეივსოს ყველა ტიპის პრესის — ხალხის პრესის და ხალხისათვის განკუთვნილი თავისუფალ და ალალმართალი, პატიოსანი და გულადი პრესის ლენინური პრინციპები, პრესისა, რომელიც სარგებლობს მკითხველთა ნდობით, ესაუბრება მათ ყველასათვის გასაგებ ენაზე.

მკითხველები ჩვენი პრესისაგან ელოდებიან ათრთალ სიტყვას, გარდაენილი პრაქტიკის ღრმა კოპეტენციურ ანალიზს, როგორც მიღწეული დადებითი ძვრების, ისე სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეების, საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის გამომწვევი ჩავარდნების, ნეგატიური მოვლენების მიზეზების ნათელ და ზუსტ შეფასებას.

აქედან გამომდინარეობს გაზრდილი მომთხოვნელობა პრესის მუშაობისადმი, დღეს კვლავ განსაკუთრებით აქტუალურად ჟღერს პარტიული პრესისადმი ლენინის განაწესი: რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული საქმეები, საიაბის აღზრდა ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებით. ჩვენმა პრესამ აქტიური შემოქმედებითი, კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულოს გარდაქმნის პლატფორმაზე, საზოგადოების მთელი განსაკი ძალების გაერთიანებასა და შეკავშირებაში.

წერონ სამართლე და მხოლოდ სამართალი, მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ სკკპ გეზი, ოდიკალური გაოდაძინისა და განახლების კურსი — ეს კომუნისტი ჟურნალისტების, ქვეყნის პარტიულ გამოცემათა ყველა მუშაკის პარტიული ვალია.

„პრავდამ“, რომელიც პარტიის მთავარი ბეჭედთი ტრიბუნაა, ძირითადი ყურადღება უნდა მიაპყროს სკკპ კოლეტიკის რეალიზაციის საკვანძო მიმართულებებს.

„პრავდის“, ისევე როგორც მთელი პარტიული პუბლიცისტიკის, წამყვანი თემა გარდაქმნის ახლანდელ ეტაპზე უნდა გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის თებერვლისა და მარტის პლენუმების იდეების სულისკვეთებით პარტიის გარდაქმნის, რეფორმირების პროცესების ღრმა, ყოველმხრივი გაშუქება. ამასთან უნდა „ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ განახლებული პარტია უნდა იყოს სოციალისტური არჩევანის პარტია, რომელიც შემოქმედებითად ავითარებს მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებას და გამოხატავს კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს. იგი არ კისრულობს სახელმწიფო ძალაუფლების უფლებამოსილებებს. მისი როლია იყოს დემოკრატიურად აღიარებული ლიდერი, რომელიც მოიპოვებს ხალხის ნდობას თავისი პოლიტიკითა და მეელი პრაქტიკული მუშაობით, მოქმედებს სახალხო დეპუტატთა საბჭოებში, სხვა ორგანოებსა და საზოგადოებრივ ფორმირებებში მომუშავე კომუნისტების მეშვეობით. თავისუფლდება რა მისთვის უჩვეულო ფუნქციებისაგან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელ თავს მეცადინეობას ახმარის თეორიის, სამოქმედო პროგრამების შემუშავებას, ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას, საზოგადოების კონსოლიდაციას, საკადრო პოლიტიკის განხორციელებას. პარტია შეძლებს წარმატებით შეასრულოს თავისი ამოცანა ახალ პირობებში, განახორციელებს რა ღრმაეს დემოკრატიზაციას, რომლის საფუძველი უნდა გახდეს პარტიული მასების ძალაუფლება.

„პრავდამ“, მთელმა პარტიულმა პრესამ სკკპ XXVIII ყრილობისათვის მზადების პერიოდში აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი საბჭოთა ხალხისა და პარტიის მიერ განვლილი გზის მასშტაბურ და ღრმა ანალიზს, მისი ორგანიზაციების წინაშე მდგომი ახალი ამოცანების გადაწყვეტას. ამას უნდა ისახავდეს მიზნად გაშლილი ზოგი პარტიული დისკუსია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინასაყრილობო პლატფორმისა და პარტიის ახალი წესდების პროექტების განხილვა.

პარტიული პრესის ფურცლებზე უნდა განავითაროთ კონსტრუქციული დიალოგი, წარმვართოთ იგი პრინციპული პარტიული პოზიციებიდან, ჩაახშოთ მასში სოციალიზმის განახლების პოზიციებზე მდგომი საზოგადოებრივი ძალების მთელი სპექტრის წარმომადგენელ მონაწილეთა ფართო წრე, მწვავედ და დამაჯერებლად გავიოლაშქროთ ჩვენი სოციალისტური არჩევანის უკუფფეგის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ. ვაჩვენოთ სიღრმისეული კავშირი სოციალისტური პრინციპების ფეხქვეშ გათელვის შედეგი, და ის, რაც პარტიისა და ხალხის რეალური წვლილია საკუთარი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის პროგრესში. საჭიროა წინაღალუდგეთ. იმ ცდებს, რომ გადაშლონ ყოველივე ნამდვილად ღირებული ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობაში, საეჭვო გახადონ ჩვენი ზნეობრივი და სულიერი ორიენტირები, სოციალისტური არჩევანისა და კომუნისტური პერსპექტივის ერთგულებას.

„პრავდის“, მთელი პარტიული პრესის ვალია ლენინური მემკვიდრეობის თანამედროვე გააზრება, მისი ცოცხალი დაკავშირება სოციალიზმის ფორმირებასთან, მის ორგანიზაციებს ფორმირებასთან. ეს ნიშნავს ვავითარებდეთ მის მსოფლმხედველობასა და მეთოდოლოგიას, ვამდიდრებდეთ ახალი დასკვნებითა და დებულებებით, ერთხელ და სამუდამოდ ვთქვათ უარი იმ ცალკეული ფორმულიერ დაკანონებაზე, რომლებიც ნაკარნახევია კონკრეტული ვითარებით და მთლიანად განკუთვნება თავის ხანას, ვიცავდეთ ლენინის მემკვიდრეობასა და ვ. ი. ლენინის პიროვნებას დამახინჯებისა და დისკრედიტაციის ყოველი ცდისაგან.

„პრავდა“ უნდა იყოს ავტორიტეტიანი ტრიბუნა მძაფრად განვითარებადი საზოგადოებრივი აზრისა, რომლის მიზანია ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმის თანამედროვე კონცეფციის შემუშავება საზოგადოების სოციალური განახლების გამოცდილების განზოგადება, მკაფიოდ და გასაგებად გაუწიოს პროპაგანდა ყოველივე იმ ახალს, მოწინავეს როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაშიც, რასაც წარმოშობს მასების შემოქმედება, საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა განვითარება.

„პრავდის“, მთელი პარტიული პრესის იყურადღების ცენტრში უნდა იყოს ადამიანი, რედაქციისა და მისი ჟურნალისტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ განახორციელონ პარტიის აქტიური სოციალური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანზე, მის საზრუნავსა და საჭიროებებზე. სოციალური სამართლიანობის საზოგადოება უნდა ცხოვრობდეს ჰუმანური იდეალებით, ქვაკუთხედად აყენებდეს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, მისი სულიერი და მატერიალური ინტერესების მთელ მრავალფეროვნებას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქვეყნის მოქალაქეებმა დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოების პირობებში ახალი შესაძლებლობანი მიიღეს თავიანთი ინტერესების გამოვლენისათვის, მოთხოვნების ყამოყენებისათვის, ძლიერდება მშრომელთა გაგლენა, მათი კონტროლი გარდაქმნის მიმდინარეობასადმი. მაგრამ ამ დროს არ უნდა დავიიწყოთ, რომ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ საქმის უკეთ ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის, მუშაობისადმი ახლებური დამოკიდებულების საფუძველზე.

„პრავდამ“, მთელმა ჩვენმა პრესამ უფრო მწვავედ უნდა დაიყენონ ყველა დონეზე სიტყვისა და საქმის ერთიანობის საკითხი, კონტროლი გაუწიონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ჩვენი წინსვლის დინამიკა, შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ახალი პარამეტრების მიღწევა. ყოველნირად უნდა შეავუწყოთ ხელი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევების, უახლესი ტექნოლოგიების, ადამიანის შესახებ მეცნიერებათა კომპლექსის განვითარებას, გავაშუქოთ მიღწევები კოსმოსის ათვისებაში, კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა უნდა წარვმართოთ ისე, რომ გაიზარდოს შრომითი კოლექტივების საქმიანობის ეფექტიანობა, დაჩქარდეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, გაჯანსაღდეს ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია, იმ საკითხთა თანამიმდევრული გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო მექანიზმისა და მმართველობის სრულყოფასთან, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნასთან, სამეურნეო ანგარიშის საყოველთაო დანერგვასთან, პროდუქციის ხარისხისა და მთლიანად მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებასთან. ბრძოლა რეზერვების მთლიანად გამოყენებისათვის, შრომის, საწარმოო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცება უნდა გახდეს მთავარი მიმართულებები „პრავდის“ და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა საქმიანობაში.

ოპერატიულად და ამავე დროს საფუძვლიანად უნდა გავაშუქოთ ეკონომიკური ძიებანი. შობილი წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმები, ხელი შევუწყოთ ეკონომიკური აზროვნების განვითარებას. მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფო საკუთრების გადაქცევა საკუთრებად, რომელსაც დემოკრატიულად მართავენ თვით მშრომელები, იჯარის, სრული სამეურნეო ანგარიშის, ნარდის, საიჯარო და სხვა თანამედროვე ფორმების საფუძველზე წარმოების მასშტაბის, რეგიონების სპეციფიკის, ინტეგრაციული კავშირურთიერთობის განვითარების გათვალისწინებით. პარტიას მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპს არ ეწინააღმდეგება შრომის ინდივიდუალური საკუთრების, მათ შორის წარმოების საშუალებათა საკუთრების არსებობა.

პრესის მოვალეობაა აქტიურად დაუჭიროს მხარი ყოველ მამაცურ ადამიანს, ყოველ ნოვატორულ კოლექტივს, არა მარტო ფართოდ გაუწიოს პროპაგანდა მოწინავეთა გამოცდილებას, არამედ იღვაწოს მისი უსწრაფესი დანერგვისათვის, ყოველნაირად შეუწყოს ხელი მშრომელი ადამიანის ცხოვრების საჭირობოროტო პრობლემათა გადაჭრას.

ჩვენი სახელმწიფოს მომავალი უდიდესწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეროვნებათშორისი ურთიერთობა. ეს „პრავდის“ რედაქციისაგან, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებისაგან მოითხოვს ღრმა, პასუხისმგებლურ მიდგომას ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და ეროვნებების, მთელი მათი მრავალმხრივი ცხოვრების, ყველა ფორმის ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან აქტიური ბრძოლის განვითარების რთული პრობლემების გაშუქებისადმი. პარტიის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნებისმიერი ეროვნების მოქალაქის უფლებათა უთუო დაცვა; მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის რეალური შეგსება და ყველა სახეობის ეროვნული ავტონომიების დამოუკიდებლობის ახალი დონე; ქვეყნის, როგორც თავისუფალი და თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ფედერაციის, მთლიანობის შენარჩუნება, რომლებიც ნებაყოფლობით გადასცემენ კავშირს თავიანთი უფლებების ნაწილს საერთო მიზნების მისაღწევად.

„პრავდამ“, პარტიულმა პრესამ უნდა გაბედონ წვლილი საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარებასა და განწმენდაში, გამოავლინონ და გაზარდონ ხალხის პოლიტიკური, ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალი. გარდაქმნის ოვით ლოგიკა და არსი მოითხოვს მსოფლმხედველური, პოლიტიკური, საწარმოო კულტურის, ადამიანთა ურთიერთობის კულტურის, ეკოლოგიური, შემოქმედებითი, სამართლებრივი კულტურის, როგორც სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის აუცილებელი პირობის უდიდეს ზრდას.

კულტურის მთელი პოტენციალი ხმარდებოდეს ქვეყანაში ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღებას, ზნეობის ზოგადსაკაცობრივი ნორმების პრინციპების დამკვიდრებას. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ოჯახისადმი, სკოლისადმი, ბავშვების, მთელი ახალგაზრდობის აღზრდისადმი ყურადღებაზეც. ეს საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემები რაც შეიძლება ფართოდ უნდა აისახებოდეს „პრავდის“ ფურცლებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანო მოწოდებულია ფართოდ მოიცვას ეროვნული ინტერესები, ეროვნული ინტერესებისა და ჯგუფების სხვადასხვა პოზიციის საგულდაგულო, კომპეტენტური ანალიზი, კონსტრუქციული დიალოგი, მათთან პარტიის ინტელექტუალური გარდაქმნითი პოტენციალის ყოველმხრივი გაზრდა. გვახსოვს და ვვითარებთ რა სიმართლის გაკვეთილებს, მკვეთრად უნდა განვასხვავოთ ჩვენს წარსულში ის, რაც არის ავტორიტარულ-ბიუროკრატიული დეფორმაციების შედეგი, სოციალისტური პრინციპების ფეხქვეშ გათელვის შედეგი, და ის, რაც პარტიისა და ხალხის რეალური წვლილია საკუთარი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის პროგრესში. საჭიროა წინაღალუდგეთ. იმ ცდებს, რომ გადაშლონ ყოველივე ნამდვილად ღირებული ჩვენს ისტორიულ მემკვიდრეობაში, საეჭვო გახადონ ჩვენი ზნეობრივი და სულიერი ორიენტირები, სოციალისტური არჩევანისა და კომუნისტური პერსპექტივის ერთგულებას.

„პრავდის“, მთელი პარტიული პრესის ვალია ლენინური მემკვიდრეობის თანამედროვე გააზრება, მისი ცოცხალი დაკავშირება სოციალიზმის ორგანიზაციის ოფენსივასთან, ზნეობის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის ახალი პარამეტრების მიღწევა. ყოველნირად უნდა შეავუწყოთ ხელი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევების, უახლესი ტექნოლოგიების, ადამიანის შესახებ მეცნიერებათა კომპლექსის განვითარებას, გავაშუქოთ მიღწევები კოსმოსის ათვისებაში, კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

ორგანიზატორული და პოლიტიკური ბრძოლა, ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის გზაზე. შემცირდა მსოფლიო სამხედრო კონფლიქტის საფრთხე. ყოველივე ეს ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საშინაო ამოცანათა გადაწყვეტასაც. ამასთანავე გასავლელი გვაქვს კიდევ უფრო დიდი და ძნელი გზა, რათა განხორციელდეს კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის იდეალი. „პრავდის“, პარტიული პრესის ამოცანაა აქტიურად შეუწყოს ხელი ამ კეთილშობილური მიზნების რეალიზაციას, ამასთანავე აწარმოონ ბრძოლა რეაქციის, მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ პარტიული კომიტეტების კავშირი „პრავდასთან“, მთელ პარტიულ პრესასთან. გაზეთ „პრავდის“ რედაქციამ, ყველა პარტიულმა კომიტეტმა უფრო აქტიურად უნდა იმუშაონ პუბლიკაციათა ქმედითობის უზრუნველყოფაზე. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ პარტიული კომიტეტები, თანამდებობის პირთა მხრივ „პრავდის“ პრინციპული გამოსვლებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად იმის განზოგადებული მაჩვენებელიც არის, თუ როგორ ვითარდება ადგილებზე და ცენტრში თვით გარდაქმნაც. საჯაროობის შეუფასებლობას, კრიტიკის შეკავებას გარდაუვალად მოსდევს ინერცია და უმოქმედობა, ეს, სადაც პარტიული კომიტეტები იჩენენ პრინციპულობას, ობიექტურობას, ყურადღებას ადამიანთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი, პრესის კრიტიკულ მასალებსაც მიიჩნევენ დახმარებად, შეცდომების დაძლევისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის აქტიურ საშუალებად. და პირიქით, საჯაროობის განვითარების შესახებ ლოზუნგები ლიტონ სიტყვებად დარჩება, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მწვავე გამოსვლები განმტკიცებული არ იქნება იმათ მიმართ კონკრეტული ზომების მიღებით, ვინც ცდილობს დაიცვას თავი სამართლიანი შენიშვნებისაგან, ვინც ირიწმენა თავისი უცოდველობა, იერიში მიაქვს ადამიანებზე, რომლებმაც გაბედეს შინაურული ამბების შარაზე გამოტანა.

პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელები თავს უნდა გრძნობდნენ ამხანაგებად, კოლეგებად პარტიულ ჟურნალისტებთან ურთიერთობაში, ეხმარებოდნენ პრესას მისი პუბლიკაციების ქმედითობის უზრუნველყოფაში, აფართოებდნენ ავტორთა აქტივს, ამკვიდრებდნენ ამხანაგურ განწყობილებას. ცხოვრების მიერ წამოყენებული პრობლემების გადაჭრაში პარტიული კომიტეტებისა და პრესის მჭიდრო თანამოქმედება სავალდებულო პირობაა გარდაქმნის ჰუმანური მიზნების რეალიზაციის, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების გზაზე.

ამ პასუხსაგები ამოცანების რეალიზაცია, განსაკუთრებით პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში, „პრავდის“ ჟურნალისტებისაგან, მთელი ჩვენი პარტიული პუბლიცისტიკისაგან მოითხოვს დიდ კომპეტენტურობას, ცხოვრების ღრმა წვდომას, აზრის სიმახვილესა და პროფესიულ ოსტატობას. პროცესები საზოგადოებაში ცოცხლად, ვნებათა, ინტერესთა ბრძოლაში მიმდინარეობს; მათზე უნდა ვწეროთ ობიექტურად, აწონ-დაწონილად, სიქმის ცოდნით და ამასთანავე დაინტერესებით, მეზნებარედ, როგორც იტყვიან, გულიანად. ჟურნალისტური პრაქტიკიდან უნდა აღმოვფხვრათ ჯგუფურობა, კონიუნქტურული მიკერძოება, ამბიციოზურობა, რომლებიც წარმოშობს უარყოფითს რეაქციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოსვლებზე, იწვევს ადამიანთა სამართლიან უკმაყოფილებას.

სოციალისტური სამშობლოს, საკუთარი ხალხის მსახურება ყოველთვის გამოარჩევდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. რედაქტორები პირადად აგებენ პასუხს გამოცემათა შინაარსისათვის, ბეჭდვითი სიტყვის ალალმართლობისათვის. რა უბნებზეც უნდა მუშაობდეს კომუნისტი ჟურნალისტი, იგი უნდა იყოს პარტიის აქტიური და თანამედროვე, მოაზროვნე მებრძოლი.

გაზეთ „პრავდის“ რედაქციის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, ნათქვამია დადგენილებაში, უნდა ვახმარდეთ თანამშრომელთა შემოქმედებითი ძალისხმევის გააქტიურებას, მათი ჟურნალისტური ოსტატობის დაზვეწას, პოლიტიკური თვალსაწიერის გაფართოებას, ურთიერთმომთხოვნელობის, პარტიული ამხანაგობის ატმოსფეროს შექმნას, გარდაქმნის ბედისათვის თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

„პრავდის“ სარედაქციო კოლეგიისა და რედაქციის კოლექტივის თვალთახედვის არეში მუდამ უნდა იყოს კორესპონდენტთა ქსელის განვითარების, კორესპონდენტთა პუნქტების ფუნქციონირების საკითხები, მათ ჯარშემო ავტორთა ფართო აქტივის ორგანიზაცია და შეკავშირება, საკუთარი კორესპონდენტის საქმიანობის ფსიქოლოგიური, პროფესიული თავისებურებანი, მისი ადგილი როგორც სარედაქციო ანარატში, ისე რეგიონის, ადგილობრივი პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ცხოვრებაში.

ადგილობრივი პარტიული ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ გაზეთის კორესპონდენტებს თავიანთი ფუნქციების ნაყოფიერ და ეფექტიან შესრულებაში.

„პრავდის“ სარედაქციო კოლეგიას წინადადება მიეცა შეიმუშაოს მშრომელთა წერილებზე მუშაობის ახალი პრინციპები. ამ დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ იმით, რომ რედაქცია სახელმწიფო ან საყოველთაო დაწესებულება კი არა, შემოქმედებითი ორგანიზაციაა, წერილებზე მუშაობის მიზანია პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, რედაქციის რეკომენდაცია მეცა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მათს ბაზაზე შექმნას საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები, მოაწყოს გაზეთის აქტუალური გამოსვლების ეგიმ მკითხველთა ოპერატიული გამოკითხვები.

ვზრუნავდეთ პარტიის ცენტრალური ორგანოს ავტორიტეტისა და პოპულარობის ზრდისათვის — ეს დიდი ხნის პარტიული ტრადიციაა, ვიღაცოწოთ იმისათვის, რომ „პრავდა“ იყოს ქვეყნის ინტელექტუალური და შემოქმედებითი ძალების მიზიდულობის ნამდვილი ცენტრი: ხოლო მის ფურცლებზე გამოსვლები ღირსების საქმედ ითვლებოდეს. სარედაქციო კოლეგიამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა „პრავდასთან“ თანამშრომლობდნენ ჟურნალისტთა საუკეთესო ძალები. დადებითად უნდა ვიკიდებოდეთ ქვეყანაში „პრავდის“ მეგობართა“ კლუბების შექმნას, პრაქტიკაში შემოვიღოთ „პრავდის“ ყოველწლიური ფესტივალების მოწყობა და გადავაქციოთ ისინი დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ღონისძიებად.

რედაქციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა მივიჩნიოთ მუშაობა ადგილობრივ პარტიულ პრესასთან. საჭიროა რეგულარულად ქვეყნებრივდეს გაზეთში პრესის, რადიოსა და ტელეგადაცემების მიმოხილვები, მოეწყოს ადგილობრივ ჟურნალისტთა სტაჟირება, გამოცდილ პრავდისტთა შეზვედრები თავიანთ ადგილობრივ კოლეგებთან.

გაზეთის სარედაქციო კოლეგიას მინიჭებული აქვს უფლება გადაწყვეტოს კითხები, რომლებიც ეხება ოფიციალური მასალების პუბლიკაციის ფორმებს, განსაზღვროს რედაქციის სტრუქტურა, შტატების რაოდენობა, გახსნას და დახუროს კორესპონდენტთა პუნქტები ქვეყანაში და საზღვარგარეთ ამ მიზნებისათვის გამოყოფილი რიცხოვნობის ფარგლებში, დადოს შრომითი ხელშეკრულებანი რედაქციის თანამშრომლებთან.

გაზეთ „პრავდის“ რედაქციას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობას დაევალათ მოამზადონ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს განსახილველად შეიტანონ წინადადებანი გაზეთის რედაქციისა და გამომცემლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და კოლექტივის სოციალური განვითარების შესახებ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კურსით

ელექტროშედუღების სიახლე

პერსპექტიული, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე იღებს ორიენტაციას თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქელექტროშედუღება“. სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღო თვითცენტრებადი მანიპულატორით აღჭურვილმა საშემდუღებლო ავტომატმა. მისი მეშვეობით ხდება რგოლური ნაკერების საიმედო შედუღება ყველაზე რთული კონფიგურაციის კვანძებსა და დეტალებში.

ჩრდილოეთში პოპულარობა მოიპოვა მაგისტრალური გაზ და ნავთობსადენების გაყვანისა და რემონტის თვითმავალმა შესაფუღმა აგრეგატებმა. ერთდროულად ოთხ ოპერატორს შეუძლია გამოიყენოს ასეთი დანადგარი, რომელიც აღჭურვილია კომპაქტური ელექტროსადგურით, ღუმელითა და პალეტით, ყველა საჭირო ინსტრუმენტით. დამცავი გაზების გარემოში ავტომატურ და ნახევრად ავტომატურ რეჟიმებში შედუღებისათვის განკუთვნილი ორი შემდუღებლისათვის განკუთვნილი მოწყობილობის დანადგარი გახდა პირველი მოდელი, რომელიც მომარჯვებულია მთის ფერდობებზე მუშაობისათვის და კარგად გამოიყენება ამიერკავკასიის პირობებში.

სურათებზე: საეკსპორტო ხაბეჭროს ოსტატი თეიმურაზ ალხანაშვილი და ამწყობი ზეინკალი ომარ ახელაშვილი უშვებენ უახლოეს ელექტროშემდუღებელ ტექნიკას; ჩრდილოეთის პირობებში მუშაობისათვის განკუთვნილ ამ დანადგართ მუშაობს ერთდროულად ოთხი შემდუღებელ-ოპერატორი.

შ. ანიკაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონეა).

საუბარი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

6 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. საფრანგეთის ბანკის „პარიბასის“ მრჩეველი კლოდ კემულარია. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც რესპუბლიკაში ჩამოვიდა საქართველოს მთავრობის მოწვევით, არიან სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს სრულუფლებიანი მინისტრ-მრჩეველი მიშელ პეისიკი, სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს მინისტრ-მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ოლივიე ლეი, პარიზის „საფრანგეთის ალიანსის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფრანსის ლეკომტი, „პარიბასის“ ბანკის ხელმძღვანელობის წევრები.

ნოდარ ჭითანავამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი საფრანგეთთან პირდაპირი საქმიანი და კულტურული ურთიერთობის გაფართოებას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ქვეყანასთან კონტაქტების განმტკიცებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგული კულტურა ტრადიციულად დიდად პოპულარულია საქართველოში, ფრანგული ენა შეისწავლება რესპუბლიკის ბევრ სასწავლებელში. გამოთქვა რწმენა, რომ საფრანგეთის საქმიანი წრეების ესოდენ წარმომადგენლობითი დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის თანამშრომლობის გააქტიურებას.

ილაპარაკა რა საქართველოში ჩამოსვლის მიზანზე, კლოდ კემულარიამ ხაზი გაუსვა, რომ დელეგაციის წევრები აპირებენ დეტალურად გაეცნონ საქართველოს ეკონომიკის შესაძლებლობებს, განსაზღვრონ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები. მან აღნიშნა, რომ ფრანგი ხალხი, ქვეყნის მთავრობა დიდი ინტერესით აღფენენ თვალს საბჭოთა კავშირში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და საჯაროობის გაფართოების პროცესებს, გარდაქმნის მიმდინარეობას. საფრანგეთის მთავრობა სხველით მან განაცხადა, რომ ყოველნაირად დაუჭერს მხარს საქართველოსთან საქმიანი კონტაქტების გაფართოებას. მან თავისი დახმარება შესთავაზა საფრანგეთის სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართული ახალგაზრდობის სწავლების ორგანიზაციის საქმეში.

საუბრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია თბილისში საფრანგეთის კულტურული ცენტრის გახსნასთან.

სტუმრების ყოფნის პროგრამაშია შეხვედრები რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, საუბრები სამინისტროებსა და უწყებებში, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დათვალიერება და რესპუბლიკის რაიონებში მოგზაურობა. (საქინფორმი).

პასუხი პრეზიდენტს

ვილნიუსი 6 აპრილი. (**საკ-დენის კორ.**). ლიტვის უზენაესმა საბჭომ პასუხი გასცა სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის მიმართვას მისადმი და ლიტვის ხალხ

1.

ძველი პრობლემის

ახალი წაკნაგები

„ჩაი ჩვენი ქართული“...

საოცარად გაცვდა ეს ტერმინი.

გაცვდა და... მომგეწლდა. საამაყოსაც ბევრს არაფერს შეიცავს ახლა, ისევე როგორც თვით ცნება „ქართული ჩაი“. სხვათა შორის, ის, რაც მართლაც სიამაყის საგანი იყო ამ სამი თუ ოთხი ათეული წლის წინ, ახლა, — გამკითხავი პატრონის ხელში, — განგაშისადმი უფრო განგაწყობს კაცს. სწორედ ამ გამკითხავი პატრონის პოზიციიდან გვინდა შეეხებოდთ იმ ციფრებსაც და პოზიციასაც, რომელიც მთავრობის იმდღეკანდელ სხდომაზე გამოიკვეთა უწინარესად. თუმცა, დღის წესრიგის მშრალი ფორმულირების მიხედვით, ახალი და არაორდინარული არაფერი უნდა ყოფილიყო.

ფორმულირება — ძველი, პრობლემა — კიდევ უფრო ძველი, პროექტის მიდგომაც — ასევე ძველი: „1990 წლის მოსავლის ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების სეზონისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ“. ალბათ, გარკვეულწილად ამ „მშრალი“ ფონის მიზეზიც იყო, ასე კონტრასტულად რომ ამოტივტივდა ზოგიერთი შეფასება და მოთხოვნა. ცოდვა გამხელილი სჯობს. და ჩვენ, მთავრობის სხდომის დამსწრე ჟურნალისტები, თანდათანობით ვეჩვევით კიდეც „ეკონომიკური ვსეობუჩების“ ამ თავისებურ გაკვეთილებს, ზოგიერთი საკითხის განხილვისას თავისთავად და ანაზდეულად რომ იმართება ხოლმე. ამაში ცუდი არაფერია, სწავლა ყველგან შეიძლება. ოღონდ ის არის დამაფიქრებელი, ამ გაკვეთილებს სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების გაძღოლაში ათწლეულობით ჭიპმოცვეთილი ხელმძღვანელებიც ჩვენთან ერთად რომ გადიან ახლა და აქ...

ეს — სხვათა შორის, განსჯისათვის კი ზემოთ შეპირებული რამდენიმე ციფრი, რომლებსაც განსაკუთრებით გაესვა ხაზი სხდომაზე და გარკვეულ პოზიციადაც ჩამოყალიბდა. ჟურნალისტის უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით:

სხდომის თავმჯდომარე: — რამდენი ტონა ჩაი ვაწარმოეთ შარშან?

რამაზ ფანცხავა, საქბგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილე:— მზა პროდუქცია, თუ...

— დიახ, მზა პროდუქცია, საბოლოოდ...

— 137 ათასი ტონა სულ, ინდურთან ერთად.

— რამდენია ინდოეთიდან შემოტანილი? ინდური ჩაი რამდენი შეგვრია?

— 56 ათასი ტონა.

— ესე იგი, თითქმის ორმოცი პროცენტი ინდური ჩაი შეგვრია? ჩვენს პროდუქციას, მას რომ სასაკონლო სახე მიეცოს. ისე არავინ იყიდის. აი, ჩვენი დამოუკიდებელი ეკონომიკა, მადლობის მეტი რა ითქმის თუნდაც ამ ფაქტის გამო, ამდენი იმპორტული ჩაის შესყიდვა რომ ხდებოდა ჩვენი ჩაის გასაზავებლად. წელს რომ აღარ გვექნეს იმპორტული ნაწარმი, მზად ვართ ამისათვის?

პასუხი კითხვაზე არავის გაუცია. გასაგებია: ეს განსაკუთრებული პრობლემაა, არა ერთი და ორი წლის გადასაწყვეტი, იგი საგანგებო განხილვას მოითხოვს. რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მეჩაიეობას უდიდესი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს; მისი სრული ეკონომიკური სუფერენიტეტის რეალურ განხორციელებაში ამ დრმგმა თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. არა თითქმის სანახევროდ იმპორტით გაზავებული, რა თქმა უნდა. ჩაი გვაცხოვრებსო, რომ ვამბობთ, ჭეშმარიტებით პირიქით გამოდის: სანახევროდ ინდურით თუ არ გაკეთილშობილდა, ისე საშინაო ბაზარზეც არ იყიდება ჩვენი ნაწარმი. კითხვაც ამიტომ დარჩა უპასუხოდ, თუმცა პოზიცია — პრობლემის არსის განმსაზღვრელი და სამომავლო გზების მკაფიოდ მიმანიშნებელი — ნათლად გამოიკვეთა.

სხდომის თავმჯდომარე: — დღეს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი ისე არაა დამოკიდებული გარეშე ფაქტორებზე, როგორც სახალხო ჩაის წარმოება. ეს ყველამ უნდა გავითვალისწინოთ...

ეს პოზიცია განხილვის დასასრულს, სხდომის თავმჯდომარის შემაჯამებელ სიტყვაში წათლად ჩამოყალიბებული ამოცანის სახეს მიიღებს, ახლა კი პრობლემათა რეტროსპექტივას უნდა გავადევნოთ თვალი. მით უმეტეს, რომ, ვინ არ იცის, მეჩაიეობა დღეს ჩიხშია მოქცეული. გამომწვევი მიზეზებიც საკმაოდ თქმულა: ესაა ვეგმის გაფტეშება, ყოველგვარ მყარ ნიადაგს (გადატახითი და პირდაპირი მნიშვნელობითაც!) მოკლებული მისწრაფება, როგორმე სამამულო წარმოების ჩაით დამაყოფილებულიყო უზარმაზარი ქვეყნის მოთხოვნები. და ამით შეეძლიერებინათ ვალუტის მნიშვნელოვანი დანახარჯები, — ესე იგი მზოლოდ როდესმა. ერწმუნეთ ჩემს საკმაოდ ხანგრძლივ ჟურნალისტურ პრაქტიკას: არ მახსოვს, მეჩაიეს ან მეურნეობას მოკრეფილი ფოთლის მაღალი ხარისხისთვის ჯილდო მიეღოს, კრეფის გეგმის შეუსრულებლობისათვის დასჯილები კი საკმაოდ ბევრი მინახავს.

ყველგან და ყველა დონეზე, — მეტწილად საკადრისო ინსტანციებში, ცხადია, — მომარჯვებული ჰქონდთ ე. წ. „ქვეყნის მოთხოვნები“, „დარგის ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესების დაყენება“. „თქვენ იქ არ გესმით“ და ა. შ. ეტყობა, სამიქაოდან და კახათიდან ასე დაშორებულ კაბინეტებში მართლაც ძნელი იყო იმ ერთი მარტივი ჭეშმარიტების გაგება, რომ მიწა ინდოეთშიც მიწაა და საქართველოშიც, ჩაის ბუჩქიც ერთია და ფოთოლიც ერთნაირია, და როგორ გინდა ყოველ ჰექტარზე ინდოელზე ორჯერ მეტი მოსავალი მიიღო. ამ ნაზ და სათუთ დუყეებს დედაბუდიან-ფესვიანად თუ არ ამოთხრი, თანაც ნამგალსაც თუ არ მოიმარჯვებ?.. ასე გიჩნდა ეს საოცარი ტერმინი — „უხეში კრეფა“, შერჩრდა ბუჩქების განვითარება, დაჩქარდა მათი ბიოლოგიური დაბერების პროცესი, შემცირდა პლანტაციების ამორტიზაციის ვადა. გადამუშავებელი მრეწველობის ბაზაც საოცრად ჩამორჩა თანამედროვე ტექნიკას და ტექნოლოგიას.

ერთს ჩემს „იზვესტიელ“ კოლეგას ავი პროგნოზის გაკეთების საშუალება მიეცა:

„...თუ მდგომარეობა მკვეთრად არ შეიცვალა, ხუთი-ათი წლის შემდეგ ფოთლის უხეში კრეფის გამო ქვეყანაში საერთოდ აღარც კი დარჩება ჩაის პროდუქტიული პლანტაცია“.

ვერ გეტყვით, „ქვეყანაში“ რას გულისხმობდა კოლეგა, — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ ჩაის პლანტაციების საერთო მოცულობა ერთი ოცჯერ მაინც ჩამორჩება ჩვენსას, მათი წილი კი წარმოებაში დაახლოებით 3-4 პროცენტს შეადგენს, — განგაში კი სავსებით დროული და რეალური გახლდათ... ამ ორიოდე წლის წინ რესპუბლიკაში დიდი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით: საგრძნობლად შემცირდა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები, დაინერგა მატერიალური და მორალური წახალისების ახალი სტიმულები, განახლდა ეკონომიკური მართვის მექანიზმი. ცხადია, გულდაგულ გაკაფული ტყე უცებ არ განახლდება, არც დარგში დაგროვებული პრობლემების უეცარი გადაწყვეტის იმედი უნდა გვქონდეს დღეს და ღღეკანდელ მასშტაბებში. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მეჩაიეებს სულის მოთქმის საშუალება მიეცათ და ეს მათს ნაჯაფარ-ნაკეთებ საქმეს სასიკეთოდ ეტყობა უკვე.

და ამის გათვალისწინებით, ალბათ, უმთავრესი:

დღეს, ახლა მიუღებელი ჩანს ისიც კი, რაც დარგის გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად ნიშან-პირობად გვესახებოდა გუშინ. საქმე მეჩაიეობის პერსპექტივებს, მის ხვალინდელ დღეს ეხება; ლაპარაკია იმაზე, თუ რა როლი უნდა შეასრულოს მან სუვერენული რესპუბლიკის ეკონომიკის ერთიან ბალანსში.

მთავრობის პოზიცია ნათელია და გარკვეული:

— **წელს განსაკუთრებული მუშაობის ჩატარება მოგვიწევს ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს წლის მთავარი სტრატეგიული ამოცანაა, — და არა მარტო წლის, არამედ საერთოდაც, მთელს ჩვენს მომავალ საქმიანობაში. იცით რისი საშიშროება გვფიქრობს? წლის მეორე ნახევარში ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ინდოეთიდან ჩაის შემოტანის პერსპექტივა. ღმერთმა ქნას, რომ იგი როგორმე შევინარჩუნოთ, მაგრამ მაინც ყოველგვარი სიტუაციისათვის უნდა ვიყოთ მზად. ეს ფაქტობრივად ამას მოასწავებს, რომ საქართველოში მოკრეფილი ჩაი იქნებ საკავშირო ბაზარზედაც კი ვერ გავიდეს და ეს იქნება დარგის კატასტროფა. აი, ამისათვის უნდა მოვემზადოთ. საქმის არსში გავარკვიოთ, პერსპექტივაში ჩავახედოთ ყველა, ვისაც მართლა აღელვებს დარგის მომავალი, მოვალეა მისი წინსვლის ინტერესებს ემსახურებოდეს.**

ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა უზრუნველყოთ ჩაის მწარმოებელი მეურნეობების მეორე პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის უცილობელი განხორციელება, ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა ჩაის კრეფის, გადამუშავების და დაფასოების ყოველ ტექნოლოგიურ რგოლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მინერალური სასუქების გამოყენებას. არ დაკუნვავთ მათი ხელოვნურად გადიდებული მოცულობით შეტანა, გამოკვებოთ პლანტაციები მეცნიერულად რეკომენდებული დოზებით. ჩაი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა პროდუქტი უნდა გავხადოთ.

და კიდევ:

ის, რაც ერთხელ უკვე ვახსენეთ, როგორც პრობლემის არსის განმასაზღვრელი პოზიცია. სხვათა შორის, ყურადღებამისაქცევი იმით, რომ დროსა და სივრცეში ზნირად შეხედულებებიც, პოზიციებიც რადიკალურად იცვლება ხოლმე და არაფერია ამაში გასაოცარი, მით უმეტეს ვისმე პატივმოყვარეობის შემლახველი, რადგან მას დღევანდელობის სული აზრი და საერთო ინტერესები უდევს საფუძვლად. თავად განსაჯეთ — ფაქტობრივად, ხდება ადრე მიღებული მიდგომებისა და საკუთარი კონკრეტული გადაწყვეტილებების თვითკრიტიკული, საქმიანი შეჯერება-გადასინჯვა..

სხდომის თავმჯდომარის შემაჯამებელი სიტყვიდან:

— **ალბათ, განაშენიანების თაობაზე ადრე მიღებული დადგენილება უნდა გადავსინჯოთ, საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ. სხვა გზას ვერ ვხედავთ, ეს უფრო რეალური და სწორი იქნება. ჩვენ მაშინ შედარებით სხვა სიტუაციაში ვიყავით, სხვა პოზიცია და მიდგომები იყო. საქართველოს ჩვენ ვხედავდით უაღრესად სპეციალიზებულს და ვამაყობდით იმით, რომ სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტი საქართველოზე მოდიოდა. ეს არ არის ახლა მთავარი; უფრო მთავარი და უპირველესი არის ის, თუ დარგი როგორ შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას. აი, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს მოსაზრებები ახალი პლანტაციების განაშენიანების ოპტიმალური ვარიანტების თაობაზე.**

ჩაი შემდგომშიც უნდა გავაშენოთ, ორი აზრი არ არსებობს ამის გარშემო. მაგრამ არ იქნება სწორი, კოლხეთში პლანტაციები გავაშენოთ იქ, სადაც წინასწარვე ვიცით, რომ 7-8 წლის შემდეგ ჩამოსაწერი გაგვიხდება. ეს მაშინ, როცა შეგიძლია ამ ფართობებზე ხაკვები კულტურები განავითარო და ხალხი აცხოვრო. რა დასამალია და ბევრგან მეჩაიეობის რაიონებში რძე არა გვაქვს. ხორცი გვაკლია. შეუფერებლად სახავშო დაწესებულებებიც კი ვერ მოგვიდგა ინ. ეს ამისათვის უნდა მოგვემზადოთ. საქმის არსში გავარკვიოთ, პერსპექტივაში ჩავახედოთ ყველა, ვისაც მართლა აღელვებს დარგის მომავალი, მოვალეა მისი წინსვლის ინტერესებს ემსახურებოდეს.

ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა უზრუნველყოთ ჩაის მწარმოებელი მეურნეობების მიერ პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის უცილობელი განხორციელება, ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა ჩაის კრეფის, გადამუშავებისა და დაფასოების ყოველ ტექნოლოგიურ

ინფორმაცია მთავრობის სახელიდან

ჩვენი გაზეთის რედაქციამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 4 აპრილის სხდომის გასაუქმებლად ამჯერად თავისი ორი სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა, მათ დამოუკიდებლად მოამზადეს ორი რეპორტაჟი, რომლებსაც გთავაზობთ საერთო სათაურით.

მინისტრთა საბჭოში ოთხშაბათს, 2-დან 4 საათამდე

ურგოლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მინერალური სასუქების გამოყენებას. არ დაკუნვავთ მათი ხელოვნურად გადიდებული მოცულობით შეტანა, გამოკვებოთ პლანტაციები მეცნიერულად რეკომენდებული დოზებით. ჩაი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა პროდუქტი უნდა გავხადოთ.

და კიდევ:

ის, რაც ერთხელ უკვე ვახსენეთ, როგორც პრობლემის არსის განმასაზღვრელი პოზიცია. სხვათა შორის, ყურადღებამისაქცევი იმით, რომ დროსა და სივრცეში ზნირად შეხედულებებიც, პოზიციებიც რადიკალურად იცვლება ხოლმე და არაფერია ამაში გასაოცარი, მით უმეტეს ვისმე პატივმოყვარეობის შემლახველი, რადგან მას დღევანდელობის სული აზრი და საერთო ინტერესები უდევს საფუძვლად. თავად განსაჯეთ — ფაქტობრივად, ხდება ადრე მიღებული მიდგომებისა და საკუთარი კონკრეტული გადაწყვეტილებების თვითკრიტიკული, საქმიანი შეჯერება-გადასინჯვა..

სხდომის თავმჯდომარის შემაჯამებელი სიტყვიდან:

— **ალბათ, განაშენიანების თაობაზე ადრე მიღებული დადგენილება უნდა გადავსინჯოთ, საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ. სხვა გზას ვერ ვხედავთ, ეს უფრო რეალური და სწორი იქნება. ჩვენ მაშინ შედარებით სხვა სიტუაციაში ვიყავით, სხვა პოზიცია და მიდგომები იყო. საქართველოს ჩვენ ვხედავდით უაღრესად სპეციალიზებულს და ვამაყობდით იმით, რომ სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტი საქართველოზე მოდიოდა. ეს არ არის ახლა მთავარი; უფრო მთავარი და უპირველესი არის ის, თუ დარგი როგორ შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას. აი, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს მოსაზრებები ახალი პლანტაციების განაშენიანების ოპტიმალური ვარიანტების თაობაზე.**

ჩაი შემდგომშიც უნდა გავაშენოთ, ორი აზრი არ არსებობს ამის გარშემო. მაგრამ არ იქნება სწორი, კოლხეთში პლანტაციები გავაშენოთ იქ, სადაც წინასწარვე ვიცით, რომ 7-8 წლის შემდეგ ჩამოსაწერი გაგვიხდება. ეს მაშინ, როცა შეგიძლია ამ ფართობებზე ხაკვები კულტურები განავითარო და ხალხი აცხოვრო. რა დასამალია და ბევრგან მეჩაიეობის რაიონებში რძე არა გვაქვს. ხორცი გვაკლია. შეუფერებლად სახავშო დაწესებულებებიც კი ვერ მოგვიდგა ინ. ეს ამისათვის უნდა მოგვემზადოთ. საქმის არსში გავარკვიოთ, პერსპექტივაში ჩავახედოთ ყველა, ვისაც მართლა აღელვებს დარგის მომავალი, მოვალეა მისი წინსვლის ინტერესებს ემსახურებოდეს.

ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა უზრუნველყოთ ჩაის მწარმოებელი მეურნეობების მიერ პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის უცილობელი განხორციელება, ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა ჩაის კრეფის, გადამუშავებისა და დაფასოების ყოველ ტექნოლოგიურ

2.

ალტერნატივა,

რომელიც

არ არსებობს

არ ვიცი, რამდენად სამართლიანი იქნება, რომ ყბადაღებულ ცენტრალიზმს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დეფორმაციათა ამ პოპულარულ განტევების ვაცს, კიდევ ერთი ცოდვა დავუმატოთ, მაგრამ მაინც ეჭვმეე მიველთ, რადგან სწორედ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ა. შ. ცენტრისკენული ძალების არსებობამ წარმოქმნა თბილისის უზარმაზარი აგლომერაცია, ეს პროვინციულად პრესტიჟული თავკომბალა, უთმრავი გადაუჭერელი. პრობლემით და მათ შორის ერთ-ერთი უმწვავესით — საცხოვრებელი ბინების პრობლემით.

ოფიციალურად თბილისში მილიონ 200 ათასი კაცი ცხოვრობს, რესპუბლიკის მოსახლეობის 23 პროცენტი. კიდევ რამდენია აღურიცხავ-ჩაუწერელი! თუმცა ასეთი ანარფიციალური არსებობა ხელს არ უშლის მათ პრეტენზიები წაუყენონ ქალაქის ხელისუფლებას, რომელსაც თავისი უამათოდაც გაჭირვებია.

სადაა გამოსავალი?

ერთი ჭარმაგი კაცის ხუმრობისა არ იყოს, ხომ არ დავდგამთ ახალ ძეგლებს ალტერნატიულად უკანგაშეერილი მარჯვენით — ეგ, წარსულში ეძიებდეთ, ჰპოვებდეთ მიზეზებსაც და შვებასაც. ვითომ იმ, ასე ვთქვათ, წარსულში (გუშინ რომ იყო) ჩვენვე არ ვცხოვრობდით და, რასაკვირველია, უმანკო კრავებად არ გამოვსულვართ იქიდან?!

სხვისი განქიქებით კეთდება მასალა საკუთარი კვარცხლბეკის ასაგებად, რომელიც დანთხეული ღვარძლის პირდაპირ პროპორციულად იზრდება, მაღლდება და გამოგაჩენს, მაგრამ დროებით, სანამ ვინმე სხვა, შენზე ღვარძლიანი მთელს ამ კონსტრუქციას თავისი ძეგლის ბოსტამენტის აგურად არ გამოიყენებს.

უცხოოო ეს ქართული ბუნებისათვის, ერთხელ უკვე ითქვა, შემოტანილი და გადმონერგილი.

რაც მალე ვიტყვით უარს საზოგადოებრივი აქტიურობის ამდა იყოს ცივილიზებული მიდგომა რთული საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისადმი — გაბედულად დარჩეული ტრადიციული დოგმატიკა, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, ეროვნულ ხაფუძველზე.

ერთი მომენტიც ხაზგასასმელია — ეკსტერმალური ვითარება. ორმაგად ძნელდება ასეთ სიტუაციაში ინტელიგენტურ დონეზე, მეცნიერული მეთოდებით მუშაობა და კიდევ უფრო რთულდება სტიქიური უბედურების ფონზე, ამ ბოლო დროს უფრო ლოკალური ხასიათისა რომ არის, მაგრამ სიმწვავე ამის გამო არ აკლდება. ჩუნი შემოტეგეა თითქოს სტიქიის: სავარაუდო ზვავსაშიში ზონები ამ გაზაფხულზე რეალურად საშიში გახდა, ამოძრავდა მეწყერი და ისევ და ისევ ათობით ოჯახი უსახლკაროდ რჩება. ყველა დასახიანავებელია. მაგრამ ხად, როგორ, რა ხასრებთა და ხაშუალებებით? ჯერ ამის გათვლა თქვით, მერე უზრუნველყოფა. ამიტომაა, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის დღის წესრიგში ეს პრობლემა მუდმივად დგას.

4 აპრილის სხდომაზეც განიხილეს საკითხი „საქართველოს სსრ ზოგადოებრივი ავტიურობის ამ-

ჩვენი გაზეთის რედაქციამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 4 აპრილის სხდომის გასაუქმებლად ამჯერად თავისი ორი სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა, მათ დამოუკიდებლად მოამზადეს ორი რეპორტაჟი, რომლებსაც გთავაზობთ საერთო სათაურით.

მინისტრთა საბჭოში ოთხშაბათს, 2-დან 4 საათამდე

ტრგოლში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მინერალური სასუქების გამოყენებას. არ დაკუნვავთ მათი ხელოვნურად გადიდებული მოცულობით შეტანა, გამოკვებოთ პლანტაციები მეცნიერულად რეკომენდებული დოზებით. ჩაი ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა პროდუქტი უნდა გავხადოთ.

და კიდევ:

ის, რაც ერთხელ უკვე ვახსენეთ, როგორც პრობლემის არსის განმასაზღვრელი პოზიცია. სხვათა შორის, ყურადღებამისაქცევი იმით, რომ დროსა და სივრცეში ზნირად შეხედულებებიც, პოზიციებიც რადიკალურად იცვლება ხოლმე და არაფერია ამაში გასაოცარი, მით უმეტეს ვისმე პატივმოყვარეობის შემლახველი, რადგან მას დღევანდელობის სული აზრი და საერთო ინტერესები უდევს საფუძვლად. თავად განსაჯეთ — ფაქტობრივად, ხდება ადრე მიღებული მიდგომებისა და საკუთარი კონკრეტული გადაწ--ყვეტილებების თვითკრიტიკული, საქმიანი შეჯერება-გადასინჯვა..

სხდომის თავმჯდომარის შემაჯამებელი სიტყვიდან:

— **ალბათ, განაშენიანების თაობაზე ადრე მიღებული დადგენილება უნდა გადავსინჯოთ, საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ. სხვა გზას ვერ ვხედავთ, ეს უფრო რეალური და სწორი იქნება. ჩვენ მაშინ შედარებით სხვა სიტუაციაში ვიყავით, სხვა პოზიცია და მიდგომები იყო. საქართველოს ჩვენ ვხედავდით უაღრესად სპეციალიზებულს და ვამაყობდით იმით, რომ სსრ კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტი საქართველოზე მოდიოდა. ეს არ არის ახლა მთავარი; უფრო მთავარი და უპირველესი არის ის, თუ დარგი როგორ შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებას. აი, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს მოსაზრებები ახალი პლანტაციების განაშენიანების ოპტიმალური ვარიანტების თაობაზე.**

ჩაი შემდგომშიც უნდა გავაშენოთ, ორი აზრი არ არსებობს ამის გარშემო. მაგრამ არ იქნება სწორი, კოლხეთში პლანტაციები გავაშენოთ იქ, სადაც წინასწარვე ვიცით, რომ 7-8 წლის შემდეგ ჩამოსაწერი გაგვიხდება. ეს მაშინ, როცა შეგიძლია ამ ფართობებზე ხაკვები კულტურები განავითარო და ხალხი აცხოვრო. რა დასამალია და ბევრგან მეჩაიეობის რაიონებში რძე არა გვაქვს. ხორცი გვაკლია. შეუფერებლად სახავშო დაწესებულებებიც კი ვერ მოგვიდგა ინ. ეს ამისათვის უნდა მოგვემზადოთ. საქმის არსში გავარკვიოთ, პერსპექტივაში ჩავახედოთ ყველა, ვისაც მართლა აღელვებს დარგის მომავალი, მოვალეა მისი წინსვლის ინტერესებს ემსახურებოდეს.

ამიტომ ჩვენ ყოველნაირად უნდა უზრუნველყოთ ჩაის მწარმოებელი მეურნეობების მიერ პლანტაციებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის უცილობელი განხორციელება, ხარისხის ამაღლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა ჩაის კრეფის, გადამუშავებისა და დაფასოების ყოველ ტექნოლოგიურ

3.

ავტორთა მინაწერი:

ჩვენთვის რომ ეკითხათ, რა საერთო დასკვნა გამოვიტანეთ ამ სხდომიდან, ვიტყოდით:

— ეს არის ახალი პოზიციები, არატრადიციული მიდგომა, განებავთ, ცნებათა ახლებური გაგებაც კი. აქამდე სიტყვები „მასშტაბი“ ან „მასშტაბური“ აუცილებლად რაღაც დიდთან, განსაკუთრებულთან იყო დაკავშირებული, რომელიც ასევე აუცილებლად უნდა გადასნვდეწოდა მთელი ქვეყნის ფარგლებს. დღეს ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მეოხებით და ჩვენთვის ხდება საოცრება: აღმოჩნდა თუ აღმოვაჩინეთ (ჩვენდა საბედნიეროდ!), რომ ჩვენთვის ყველაზე მასშტაბური ის ყოფილა და ის არის, რაც ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ეტევა, ჩვენი ნალჩიკ, ჩვენი ერის საარსებო ინტერესების გამომხატველია.

ჩვენი ყველაზე დიდი მასშტაბი ჩვენი საქართველოა, და ეს ყველამ საქმით უნდა დაადასტუროს. ამის მაგალითები საკმაოდაა, რაც სხვათა შორის, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ამ სხდომაზეც კარგად გამოიკვეთა.

ინფორმაციის მთავრობის სახელიდან

ჩვენი გაზეთის რედაქციამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 4 აპრილის სხდომის გასაუქმებლად ამჯერად თავისი ორი სპეციალური კორესპონდენტი მიავლინა, მათ დამოუკიდებლად მოამზადეს ორი რეპორტაჟი, რომლებსაც გთავაზობთ საერთო სათაურით.

მინისტრთა საბჭოში ოთხშაბათს, 2-დან 4 საათამდე

ციფრს დაგისახელებთ. საავტომობილო გზებისა და ტრანსპორტის სამინისტროს, გზების შენაკეთებელი სამუშაოებისათვის - ძალიან 500 ათასი მანეთი დაეხარჯა, ეს თანხა მას არ გაჰკნია. ამიტომ დაევალა ფინანსთა სამინისტროს წელს მინძილზე გამონახოს ამ ხარჯების დაფარვის საშუალება.

არ ჯდება იაფი სტიქიის თითქოს ჩუმი და შეუმჩნეველი შემოტევა.

• • •

9 აპრილი — ერის მარადიული ტკივილი, ნიშანსვეტი თვითგანწმენდის.

9 აპრილს ქ. თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენათა შედეგად დაშავებულთა სოციალური და სამედიცინო დახმარების მიზნით რუსეთის მინისტრთა საბჭომ სპეციალური განკარგულება მიიღო.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაეკალათ ერთი თვის განმავლობაში განაწორცელონ 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა პასპორტიზაცია; მოემზადა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყონ მათი საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესება, სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ორგანიზაცია თითოეულის ინტერესების გათვალისწინებით.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებანი, 9 აპრილს დაზარალებულთ შეუფერებლად გაავზავნიან კალენდარული წლის განმავლობაში რესპუბლიკის კურორტებზე სამკურნალოდ და დასასვენებლად ქ. თბილისის № 1 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის დისპანსერული განყოფილების დასკვნის საფუძველზე.

ცნობად იქნა მიღებული, რომ მათთვის გაეცემოდა საზურგის ღირებულება დაფარული იქნება საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მიერ რესპუბლიკის მოსახლეობის დაავადების შემცირების შედეგად მიღებული დანაზოგი თანხიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი სიების და გაცემული სამედიცინო დასკვნების საფუძველზე.

რესპუბლიკის სოციუზრუნველყოფის სამინისტროს დაევალა გაავრცელოს 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულებზე, რომლებმაც ინვალიდობა მიიღეს, შესაბამისი შეღავათები, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა „ავადმყოფობით ინვალიდთა შესახებ“, მიიღოს გადაჭრილი ზომები 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ ინვალიდთა სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო შეიქმნის ყველა პირობას დაზარალებულთათვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, გამოყოფს სტაციონარულ ბაზას. IV მთავარი სამმართველოს № 2 საავადმყოფოთა-პოლიკლინიკაში დაზარალებულთა სამედიცინო გამოკვლევის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის მიზნით, აქვე ორგანიზებული იქნება მათი გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური; გამოყოფს ცალკე საავთოაქო დაწესებულებას, სადაც 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთათვის კონცენტრირებული იქნება სამკურნალწამლო საშუალებანი.

გიორგი მუსერიძე.

3.

ავტორთა მინაწერი:

ჩვენთვის რომ ეკითხათ, რა საერთო დასკვნა გამოვიტანეთ ამ სხდომიდან, ვიტყოდით:

— ეს არის ახალი პოზიციები, არატრადიციული მიდგომა, განებავთ, ცნებათა ახლებური გაგებაც კი. აქამდე სიტყვები „მასშტაბი“ ან „მასშტაბური“ აუცილებლად რაღაც დიდთან, განსაკუთრებულთან იყო დაკავშირებული, რომელიც ასევე აუცილებლად უნდა გადასნვდეწოდა მთელი ქვეყნის ფარგლებს. დღეს ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მეოხებით და ჩვენთვის ხდება საოცრება: აღმოჩნდა თუ აღმოვაჩინეთ (ჩვენდა საბედნიეროდ!), რომ ჩვენთვის ყველაზე მასშტაბური ის ყოფილა და ის არის, რაც ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ეტევა, ჩვენი ნალჩიკ, ჩვენი ერის საარსებო ინტერესების გამომხატველია.

ჩვენი ყველაზე დიდი მასშტაბი ჩვენი საქართველოა, და ეს ყველამ საქმით უნდა დაადასტუროს. ამის მაგალითები საკმაოდაა, რაც სხვათა შორის, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ამ სხდომაზეც კარგად გამოიკვეთა.

პროექტი მოამზადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1990 წლის მარტის პლენუმმა

დებულება

სკკპ ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შესახებ

1. სკკპ ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისია აირჩევა პარტიის ყრილობაზე და ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე. იგი კონტროლს უწევს პარტიაში საპრაგმამო დოკუმენტებისა და სკკპ წესდების, პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების გადაწყვეტილებების შესრულებას, აკონტროლებს პარტიული დისციპლინის მდგომარეობას, შინაპარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ეთიკის დაცვას; რევიზიას უწევს სკკპ ბიუჯეტის შესრულებას და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა [illegible] დაწესებულებების, საწარმოების, [illegible], გამომცემლობების სოფინანსო-სამეურნეო საქმიანობას; განიხილავს აპელაციებს პარტიდან გარიცხვის საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისია იღებს ღონისძიებებს ბიუროკრატიზმის, სუბიექტივიზმის, თვითნებობის, პარტიის პოლიტიკაზე პირად და შემთხვევით გადუხვევათა გავლენის წინააღმდეგ.

2. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან

პარლამენტარიზმის პირველი გაკვეთილი საქართველოში

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიათა მონაწილის ფიქრები და შთაბეჭდილებანი

... **იყო** დრო, და არც თუ დიდი ხნის წინათ, როცა სიტყვა „პარლამენტი“ და „პარლამენტარიზმი“ მხოლოდ გასაკიცხად იხმარებოდა; როცა ზოგიერთი ჩლუნგი ხელმძღვანელისა და ცენტრალურ პრესასთან გაშინაურებული ჟურნალისტის „ნაზრევები“ პარლამენტარიზმი გაიგივებულ იყო უსაგნო მჭერმეტყველებასთან, უნაყოფო შემთანხმებლობასთან და ლამის პოლიტიკურ ბიპორტუნიზმთან. საბჭოთა სახელმწიფო გამგებლობის ამ „კონტრრევოლუციურ გზას“ ისეთივე სიძულვილით დასცინოდნენ, როგორც ანტიმეცნიერულად მიჩნეულ კიბერნეტიკასა და გენეტიკას, როგორც კოკა-კოლას, ბეისბოლსა და გოლფს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ „საძრახის“ თამაშობებს ან სასმელს ჩვენთვის არასასურველი ამერიკელი პრეზიდენტები წყალობდნენ.

ორიოდე ბოლოკომინდელი ბობოქარი წლის შემდეგ, როცა ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის იმედები, მიზნები, შეხედულებები და სამომავლო ამოცანები მიმდინარე გარდაქმნებთან დაკავშირებით ძირფესვიანად შეიცვალა, როცა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ აქამდე გაუგონარ განქანებას მიაღწია, როცა ძველი სტერეოტიპების რადიკალურმა რღვევამ (ჩვენდა სავალალოდ ამდენი ათწლეულები რომ ვემონეთ) ისეთი მაშტაბები მიიღო, რომლის მსგავსსაც საქართველო გასაბჭოების ღიღიან ან მოსწრებია (განსაკუთრებით ეროვნულ საკითხსა და იდეოლოგიურ სფეროში) ჩვენი ხალხი სულიერად გამოცდილა და გამოაფხიზლა: ეროვნული თვითშეგნება გაუძლიერა, ახალი იდეები შთააგონა, ახალი ძალ-ღონე შესძინა, მამხნევებელი რწმენით შეაიარაღა. ეროვნული სულის აღზევებამ, რომლის ჩაკვლას ათეულწლეულებით ცდილობდა ჩვენი დეფორმირებული იდეოლოგია, ქართველი ერი შეკრა და გაამთლიანა; ხალხის ასეთი ერთიანობა, გაუთაშველობა „ჟამსა გაჭირვებისასა“ ეროვნული ხასიათის იმ წიგნად მოგვეღონა, რომელმაც საქართველო, არაერთი ძნელბედობის დროს იხსნა და ისტორიის უფსკრულებში გადაჩეხვისაგან გადაარჩინა.

ხალხის სიცოცხლისუნარიანობა წარმოუდგენელია, თუ იგი თავისი ცხოვრების ყველაზე ძნელ მომენტებში, საკუთარი ისტორიის გარდატეხის ჟამს, — საბჭოისწერო დაცემისა თუ გოლგოთასნაირი ალმართების დაძლევისას — ვერ გამოიჩენს ძმური შეკავშირების, ეროვნული კონსოლიდაციის, საერთო სახალხო ერთსულოვნების უნარს.

ორმა განვლილმა წელმა უდაოდ ცხადყო, რომ ეს თვისება ქართველ ხალხს ჯერაც არ დაუკარგავს. ჩვენი ხალხის უმთავრესი საოცნებო მიზნის — სრული დამოუკიდებლობის იდეის აღორძინებამ განაპირობა ქართველი ერის ამჟამინდელი მოლიანობა, მისი სულიერი ამაღლებულობა და ეროვნული სიმტკიცე.

მართალია, ზოგიერთი კონკრეტულ-ისტორიული პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო გზებისა და საშუალებების ძიების პროცესში შესაძლებელია ქართველ საზოგადოებრიობაში ახალი სხვადასხვაობაც გაჩნდეს, შესაძლოა, ნაირგვარ თვალსაზრისთა თუ პოზიციათა დაშორიშორება დროთა სვლისა და მოვლენათა განვითარების კვალაზე უფრო მკვეთრი გახდეს და გართულდეს კიდეც, — უნდა მაინც გვწამდეს, რომ ეს არ იქნება საშიში, რადგან დღევანდელი ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობის საბოლოო მიზანი ქართველ ხალხს სრულიად ერთგვაროვნად და ერთსულოვნად ესმის: — ეს გახლავთ დამოუკიდებელი, ყოველმხრივ თავისუფალი, ჭეშმარიტად სუვერენული ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნა, და არა ოდესმე, არამედ რაც შეიძლება ახლო მომავალში!..

ამ სანუკვარი მიზნის, ხალხის გულში აჩეხებული მიმწოფება, რაც განსაკუთრებით უკანასკნელი ორიოდე წლის განმავლობაში მოხდა, ჩვენი ახალთაობის მამაცური და მამულიშვილური სწრაფვის შედეგია, რასაც ქართველი ერი და მისი ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს.

ამასთან ერთად, იგივე ისტორია უკვე ახლა დიდი თვალსაჩინოებით ნათელყოფს ჩვენში მომხდარი საოცარი „მეტამორფოზის“ კიდევ ერთ კანონზომიერებასაც: — თურმე რა სწრაფად და ოლად შეძლებია ნგრევა ყოველივე იმას, რაც ხალხის სურვილებისა და სარგებლიანობის საწინააღმდეგოდ შექმნილა, რაც ხალხის გულწრფელი თანადგომით კი არ გაკეთებულა, არამედ მისთვის გარედან თავზე მოხვევით, ხალხის ოფლისა და სისხლის იძულებითი გაღებით, შეუზღუდავი და უმოწყალო ძალდატანებით, რასაც ასე დაუნდობლად შეეწირა ჩვენი და სხვა ხალხების მთელი თაობები, მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე.

ახლა, როგორც იქნა იმასაც მიგვხვდით, რომ პარლამენტარიზმი, თუ იგი მართლაც ჭეშმარიტია, თუ იგი შეუზღუდავად და გონივრულად გამოიყენება, აუცილებელად მოგვეცლინება დემოკრატიზმისა და სახალხო თვითმმართველობის ქმედით საშუალად და, ადვილი შესაძლებელია, სწორედ იგი გახდეს **უმოკლესი და უსაფრთხო გზა** ხალხის სანუკვარი მიზნისკენ. ხოლო გარკვეულ ვითარებაში — თუ იგი უკიმპრომისოდ, თანამიმდევრულად, შორსგამიზნულად წარიმართა და მისი მებრძოლი სული განზრახ არავინ დააკნინა, — ადვილი შესაძლებელია, სრულიად ახალ თვისებრიობაში გადავიდეს და წარმოგვიდგეს როგორც ჭეშეარი, გარდამქმნელი ბრძოლა, **მაგრამ ბრძოლა უსისხლოდ.**

თუ ბრძოლის ასეთი ფორმას, ასეთ გზას აირჩევ (რა თქმა უნდა, არა სამუდამოდ, არამედ დროის გარკვეულ მონაკვეთზე), უნდა გეყოს მოთმინებაც, ნებისყოფაც, სიმტკიცეც, თუნა ამ გზას არ გადაუხვევო და რაც შეიძლება სრულად გამოიყენო, ბოლომდე ამოწურო მთელი მისი შესაძლებლობანი, სანამ ცხოვრების გარდამქმნელ სხვა უფრო საჭირო და ქმედითი ფორმას მოიმარჯვებდე. ტაკუილად როდი უთქვამთ, — შორი გზა მოიარე, ნმა შეგიდობთ მიდიო. თუმცაღა, ეს მხოლოდ ვარაუდია. **ჭეშმარიტ გზას** კი თვითონ ცხოვრების მდინარება მიგვანიშნებს. ამიტომ ცხოვრების „ხმის“, მისი „ძახილის“ დროული გაგონებისა და შესმენის უნარი ყოველი ხალხის უპირველესი თვისება უნდა იყოს. მაგრამ „ჭეშმარიტი ხმისა“ და არა იმისი, რაც გწადიან ან გეზმანება. ამასთან „გაგონება“ ზუსტად „საჭირო დროს“ ე. ი. არც ნაადრევად და არც დაგვიანებით. პოლიტიკოსები სწორედ ამ უნარით გამოიცნობიან.

მართალია, პარლამენტარიზმი როგორც თანამედროვე დემოკრატიული გარდაქმნების პერსპექტიული ფორმა (ჩვენს მიერ დიდი დაგვიანებით მოპოვებული) ჯერ კიდევ ფრიად ძუნწად, შიშნარევად, გაუბედავად გვაძლევს თავის ნაყოფს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ თუ ამ „დაგვიანებულ პარლამენტარიზმს“ არ შევზღუდავთ თვითმპყრობელურ-ეროვნულ-ისტორიული ლ ი და ბიუროკრატიულ-ფორმალისტური არტახებით, არ ჩავძირავთ ლამაზ მეტყველებაა და ფორმალური ლოგიკის მლაშე ზღვაში, არ დავკარგავთ უკვე მონახულ გზებს კანონთმჭმედობის უსიერ ტყეში (რისი გამოცდილებაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საკმაოზე მეტი დაგვგროვდა), შესაძლებელი გახდება მისი შემწეობით იმ საწყისი პლაცდარმის მოპოვება, რომლის გარეშეც დროზე ადრე დაწყებული იერიში სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. ოსტატური და დროული იერიშის ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა მისთვის ყველაზე ოპტიმალური მომენტისა და მიმართულების შერჩევა, ქართველმა მოუთმენლობამ და სულსწრაფობამ ამ საქმეში ხელი არ უნდა შეგვიშალოს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ნოემბრის სესია ის პირველი მარცხალი გახლდათ ჩვენი რესპუბლიკის მრავალტანჯულ ისტორიაში (როგორც რევოლუციამდელ ისე რევოლუციის შემდეგდროინდელში), რომლის დროსაც პირველად იჩინა თავი პარლამენტარიზმის პრინციპებმა და მისი წყალობით ქართველი ხალხის ნებამ და მისწრაფებებმა.

საქართველოს უზენაესმა საბჭომ ამ სესიაზე მიიღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომელზედაც უწონ მკაცრი ცენტრალიზმით, შეუვალი უფუნებრიობით და იდეოლოგიური დოგმატიზმით ხელფეხშეკრული ხალხებსა და მათ ქვეყნებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ: ქვეყნებს, რომელთაც თავისუფლებს და სუვერენულ ვუფლებებით, მაგრამ მხოლოდ ახლახან კაღიარეთ, რომ ისინი თავისუფალნი და სუვერენულნი არც უწინ ყოფილან და, ჯერჯერობით, არც ახლა არიან.

ჩვენი პარლამენტი ერთხანს, ალბათ, კვლავაც „იოჩნებს“, რადგან „კაპიტალისტური ეპოქისათვის **ნიშანდობლივი და ორგანული ეს** სახელმწიფო-ადმინისტრა ც ი ულ ი **ინსტიტუტი**, ისევე როგორც **თვით კაპიტალიზმიც,** საქართველოს ისტორიულ ეკოლუციიზე გარეგანძალდატანების შედეგად, მდლონად ამოგვავარდა ჩვენი ბუნებრივი განვითარების პროცესიდან და ნაზევრად ფეოდალური ეტაპიდან, პირდაპირ სოციალისტურ ფორმაციაში ამოვყავით თავი.

გარდა ამისა, პარლამენტი ქართველი ხალხისათვის (რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობამ სხვა ხალხებთან ერთად თავის ცხეზე ქცეულ იმპერიაში საგულდაგულოდ ჩაკეტა და ჩაკირა) სრულიად უცხო ხილი იყო. თვითმპყრობელობის მიერ დამონებული ხალხები მხოლოდ პარლამენტარიზმის პაროდიას ჭვრეტდნენ, სახელმწიფო სათათბიროს თუ სახელმწიფო საბჭოს სახით. არსებითად (პარლამენტარიზმის თვალსაზრისით), იგივე მდგომარეობა გაგრძელდა საბჭოთა პერიოდშიც, როცა ყველა „რანგის“ უმაღლესი საბჭოები ცენტრალური ხელისუფლების მონა-მორჩილ ინსტრუმენტად გადაიქცა.

ახლა, როცა ამ თვალსაზრისის მიხედვით ქვითარება ძირფესვიანად შეიცვალა, უკვე თვით ხალხებსა და მათ დეპუტატებზეა დამოკიდებული რა ძალას შესძენენ თავიანთ უმაღლეს ორგანოებს, რომლებიც ხალხის ნების გამომხატველი ტრიბუნა უნდა გახდნენ. ამ მხრივ ბალტიისპირეთ რესპუბლიკათა საქმიანობა ერთობ საგულისხმოა.

როცა ფიქრობ იმაზე, რაც „მაშინ“ იყო და რაც „ახლა“ არის, უნებლიეთ გაგონდება ერთი პუბლიცისტის ნათქვამი: „**მაშინ**“, ჩვენ პირველი ადგილი გვეკავა მსოფლიოში ტაშის დაკვრაში, ახლა კი **პირველი** ადგილი მოვიპოვეთ ერთსულ მოსახლეობრ კრიტიკის რაოდენობით. ყველა სხვა მაჩვენებლებით კი ერთობ ჩამოვრჩებითო.

ამ „მაჩვენებელში“ თვითონ კრიტიკაც იგულისხმება: მართლაც, დღევანდელი ჩვენი კრიტიკა (საკავშირო, რესპუბლიკური, განსაკუთრებით პირველი) უფრო მეტად წარსულს „ცხრილავს“, ვიდრე თანამედროვეობას (ეს ხომ ბევრად იოლია და უწყინარიც!), რაც პირიქით უნდა იყოს, „კრიტიკა უპირატესად დღევანდელობას უნდა „სწმენდდეს“. მაგრამ კრიტიკა ისეთი თავზე „სუბიექტია“, საიდანაც, ან რითიც არ უნდა დაიწყოს, როგორც კი ხერხემალს გაიმაგრებს და თავისუფლებაც ფეხს მოიკიდებს, მაშინვე თანამედროვე სინამდვილეს ამოიღებს მიზანში. ისე რომ, ცოტა ხანში, იმის (ან იმათ) კრიტიკასაც უნდა მოვეღოდეთ, რისიც (ან ვისიც) გაკრიტიკებას ჯერ კიდევ ტაბუ აძევს. წარსულის გაუთავებელი კრიტიკა კი ხალხის ფართო მასების მიერ „ნამდვილი ობიექტებისათვის“ კრიტიკული ქარ-ცეცხლის გაიზრებული თუ გაუაზრებელი აცილების ცდებად აღიქმება, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

დაუნდობელი კრიტიკული სულის პირველი გამოღვიძება საქართველოს **უზენაესი** საბჭოს ნოემბრის სესიაზე შეიცანით, ამ დაუვიწყარი სესიის მუშაობის ხასიათი ორმა უმთავრესმა გარემოებამ განაპირობა: საქართველოში ძლავრად ფრთებგაშლილმა ეროვნულ-საზოგადოებრივმა მოძრაობამ, რისი წყალობითაც ქართველი ხალხი თანდათან თავისუფლდება ეროვნული ინდიფერენტიზმისაგან, ათეიზ ულ წლობით რომ ინერგებოდა, და სოციალ-პოლიტიკურ გარდაქმნათა რევოლუციურმა პროცესმა, რომელმაც წარმოშვა და ხელი შეუწყო პროგრესულ ძიებათა თანამედროვე ქარტეხილებს.

გამოღვიძებული ხალხები ზოგან თამამად შეუდგნენ, ზოგან კი ახლა იწყებენ მასშტაბური და რადიკალური ცვლილებების ცხოვრებაში გატარებას. ისე, რომ ამ მხრივაც საქართველო არ არის გამონაკლისი და ისინი, ვინც ქვეყნის არასტაბილურობას საქართველოს აბრალებენ, მეტი რომ არა ვთქვათ, შეგნებულად ტყუიან.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობაც რევოლუციურ გარდაქმნათა მიმდინარე პროცესითაა გაპირობებული. იგი რომ არა ყოფილიყო, შესაძლოა ეს მოძრაობა ან გაცილებით გვიან დაწყებულიყო, ანდა ასეთი მძლავრი და საყოველთაო არ გამომდგარიყო.

იყო მესამე გარემოებაც, რომელმაც არანაკლებ დაამჩნია თავისი კვალი სესიის მუშაობას: ახლა, დღევანდელობის საღად შემფასებელური და უფაროფილი მასებიდან მომდინარე აზრი, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემათა გადაწყვეტის სავარაუდო გზების ძიებით, ყალიბდება არა მარტო და **არა იმდენად** მყუდრო კაბინეტებში, რამდენადაც ქუჩებსა და მოედნებზე, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, და ზოგჯერ უფრო ინტენსიურადაც.

ბოლოს გავრცელებული აზრი, და ვფიქრობ, არც თუ უსაფუძვლოდ, თითქოს რევოლუცია საერთოდ, როგორიც არ უნდა იყოს მისი მიზნები და ამოცანები, თუ მასში ხალხის უფაროფილი მასები მონაწილეობენ, აუცილებლად იწვევს ცვლილებებს ეროვნულ ხასიათებში. შესაძლოა ეს შეფასება „ევოლუციონისტებისაგან“ მოძღინარეობს და „რევოლუციონერთა“ წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ, ამ აზრში ჭეშმარიტების მარცვალიც არის. რა თქმა უნდა, თვით რევოლუციის გაჩნია: თუ იგი, მართლაც შორს მიმავალი, რადიკალურია, საერთო სახალხოა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხალხის სასიკეთო ამოცანებს ახორციელებს, რევოლუცია მაინც გარდუვალად იწვევს ცვლილებებს არა მარტო მასში მონაწილე ადამიანთა ზნეობასა, ქცევასა და აზროვნებაში, არამედ მთელი ხალხის ეროვნული ხასიათის გარკვეულ დეფორმაციასაც იწვევს. რუსეთთან ერთად საქართველოს მიერ გადატანილმა სამმა რევოლუციამ ეს საკმაოდ ნათლად ცხადყო.

რამდენადაც, ჩვენ ამჟამადაც რევოლუციურ სიტუაციაში ვიმყოფებით, უნდა სათანადოდ გავფრთხილდეთ, რათა სანაკებო და დიდებული ქართული ხასიათი კვლავაც არასასურველი მიმართულებით არ შეიცვალოს. მით უმეტეს, რომ გვაქვს წინა რევოლუციების მწარე გამოცდილება, რომ ამ ჩამოყალიბდნენ „სისხლიანი ხასიათები“ არაჩვეულებრივი დაუთმობლობით, არაადამიანური სიმკაცრით, მზეცური სისასტიკით, და გასაოცარი შეუწყნარებლობით, როცა განკითხვის უნარი და ადამიანობა, ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობაზე რომ აღბრაფერი ვთქვათ, რევოლუციის ლოკომოტივად იყო. და რაოდენ რეს, რომელიც უშუალო კავშირშია იმ სულიერ ატმოსფეროსთან, რომელშიც ახლა ჩვენი ხალხი იმყოფება.

ბოლოს და ბოლოს, თითქმის ერთ-ერთ საერთოდ ეროვნულ-ეროვნული ინდიფერენტიზმისაგან, ამიტომ, როცა ამა თუ იმ საერთო **ხასიათის მოჩვენებანი** საკითხის გადაწყვეტას „ოპერატიული ქმედების“ საჭიროებით და მომენტის ხელიდან გაშვების დაუშვებლობით ასაბუთებენ, უფლა გვახსოვდეს, რომ ამან შესაძლოა საქმეს უფრო ავნოს, ვიდრე სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს.

დღეს, სახალხო-ეროვნული სულისკვეთების აღორძინების წყალობით ისეთი ეროვნული, როცა თავისუფლებას, რეალურ გარდაქმნებს, ჭეშმარიტ დემოკრატიზმს, აზრისა და სიტყვის თავისუფლებას მოწყურებული ხალხები აქტიურად ჩაეყენენ საერთოსახალხო მოძრაობაში, რომლის მიზანს არსებული სინამდვილის ძირფესვიანი გარდაქმნა და ახალი მომავლის აშენება წარმოადგენს. ეს გარემოება ბუნებრივია ავრცობს და აძლიერებს ქართველი ხალხის ინიციატივის, მის შემოქმედებით უნარს, პოლიტიკურ აქტიურობას, მოქალაქეობრივ ინტერესებსა და ეროვნულ თვითშეგნებას.

სწორედ ამან განაპირობა ის სულიერი და ფსიქოლოგიური ვითარება, ის ატმოსფერო, რომლითაც სუნთქავდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიის მონაწილენი. ამიტომაც იგრძნობოდა ამ სესიაზე ასე ძალუმად ნერვული დაძაბულობა; ყველა რაღაცას მოელოდა და ამ მოლოდინმა თავისებური გარემო შექმნა, როცა ზოგს დეკლარაციებისა და მომწოდებლური სიტყვების სურვილი აღეძრა, ზოგს მონაწილეობა და აღსარებისა, ზოგსაც თავმოსაწონებელი გამოსვლისა.

ახლა მრავალზე მრავალთაგანი (ხანდაზმულიც, საშუალო ასაკისაც, ახალგაზრდაც). პოლიტიკოსობას ესწრაფვის და საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისი დამკვიდრება სწადია. ეს არ არის არც გასაკვირი და არც დასაძრახი, მაგრამ ერთი პირობით: რომ ამის მსურველთ კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული ამ „ხელობის“ მთელი სირთულე და სიძნელე, იმ უზარმაზარი ცოდნის, გამოცდილების შეძენის და თავის თავში იმ უნარის თვითაღზრდის აუცილებლობა, რასაც ხშირად ერთი სიცოცხლეც არა ყოფნის ზოლმე. თუ ისინი გულწრფელად ფიქრობენ ამ გზით ქვეყანას გამოადგნენ და სათანადო მონაცემებიც გააჩნიათ ხალხს უწინამძღვროს, მაშინ მათი სწრაფვა გამართლებული და მხარდასაჭერია.

მაგრამ, თუ ეს მხოლოდ დროებითი გატაცებაა, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში აუცილებლად შეწყდება; თუ იგი უფრო თავის გამოჩენის სურვილით, ანდა სხვა ვიწროპირადული სწრაფვით არის გაპირობებული, თუ იგი წაბიძგებულია იმედით, ვითომც, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სარბიელი ყველაზე უმოკლესი და იოლი გზაა სახელისა და დიდებისაკენ. მაშინ ასეთი წანამძღვრების მქონე პოლიტიკოსობის მაძიებელთ გარდუვალად მოელის იმედთა სრული გაცრუებაც და რეალური საშიშროება, არა მარტო უსარგებლო, არამედ ზიანის მომტან პიროვნებებად გახდომისა.

გვინდა შევეხოთ ჩვენი დღევანდელობის (და არა მარტო ჩვენი) კიდევ ერთ დამახასიათებელ მხარეს, ამ ეტაპზე ეროვნული ინდიფერენტიზმისაგან ის არ გვეყოფა, რომ ბოლო დროს ასე ოოგვიძრავდა იმგვარი ვაი-ქართველები, რომელიც სულ არაფრის გულისათვის ერთმანეთს სასიკვდილოდ იმეტებენ და უგუნური, საზარელი მკვლელობით, ძარცვა-გლეჯით, ქურდობით, ყაჩაღობით ათასობით ოჯახებს აუბედურებენ? ამაში არამარტო ჩვენი საზოგადოებრიობა არის დამნაშავე, არამედ ის დღევანდელი სახელმწიფოებრივი სიტუაცია (და უფრო მეტადაც!!!), რომელიც სოციალიზმის ფეფორმაციამ და დღევანდელმა ადმინისტრაციულმა უხეიათობამ შექმნა.

უნდა ცეცხლივით ვერიდოთ ეროვნული ხასიათის დეფორმაციას. ალბ, ზოგიერთი უკეთური მამისა და უზნეო დედის შვილს (ალბათ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეს) — ყველა მამა უკეთური, ხოლო ყველა დედა უზნეო ჰგონია. ხომ კარგად ვიცით, რომ იყო დრო (რევოლუციის პირველ წლებში), როცა შეძლებული ოჯახის შვილები, პრივილეგიერებული კლასებიდან თუ წოდებებიდან გამოსულნი (ხელოვანნი თუ სპეციალისტები, პარტიული თუ სახელმწიფო მოღვაწეები) თავიანთ „პროლეტარული წარმოშობის“ დასამტკიცებლად, რაც თანამდებობრივი წინსვლისათვის აუცილებელ იყო, ყველა კრებაზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ (და ავტობიოგრაფიაშიც შეჰქონდათ!), რომ „მამაჩემი ყველაზე დაბეჩავებული, უვიცი, ღარიბ-ღატაკი, ჩლუნგი უმაჭნისი კაცი გახლდათო“. ეს იყო საშინელი დრო — „რევოლუციის გალმა დარჩენილი მამებისადმი „რევოლუციის გამოღმა მხარეს მდგარი“ შვილების უგვანი სიძულვილისა. იმ დროის ეს ამბები აღვილი ასახსენელია: მძღავრსა და სასტიკ კონიუქტურას ბევრი უარესიც მოუმზადებია. მაგრამ ახლა, ძველის დაუნდობელი და საოცრად სწრაფი რღვევის პერიოდში, როცა ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა ჭეშმარიტ შეფასებას ვერ მივცემთ.

ჩვეულებრივ, როცა რაიმე ღირსშესანიშნავ, მთლიანობაში დადებითად შესაფასებელ მოვლენას ეხებიან, მასზე მსჯელობას ამ მოვლენის დადებითი მხარეებით და შედეგებით იწყებენ. მე კი, ამჯერად, პირიქით მინდა მოვიქცე.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის (XII (ნოემბრის) სესია ყველა ადრინდელისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა თავისი დემოკრატიულობით, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან სრული თანახმიერებით, ქართველი ხალხის ეროვნული და პოლიტიკური ამოცანების ღრმა გაგებით და საქართველოს დღევანდელ ეროვნულ-საზოგადოებრივ მოძრაობასთან სიახლოვით. სწორედ ამან განსაზღვრა სესიის მონაწილეთა ერთსულოვნება და დეპუტატთა აქტიურობა.

სამწუხაროდ, ასეთივე მაღალ შეფასებას ვერ იმსახურებს ამ სესიის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციული მხარე, რომელიც სათანადოდ არ შეესაბამებოდა არც რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს სახელსა და მნიშვნელობას და არც იმ, თამამად შეიძლება ითქვას, ისტორიულ პრობლემატიკას, რომელიც მან განიხილა, ხოლო ზოგიერთი პრობლემის შესახებ საოცრად თამამი და ქართველი ხალხისათვის ფრიად საჭირო, ფრიად სასარგებლო დადგენილებები მიიღო.

და მაინც, მიუხედავად სესიის უდავო საერთო წარმატებისა, რაც რიგი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, დადგენილებებისა და კანონების მიღებაში გამოიხატა და რამაც, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოს უზენაესი საბჭოს XI მოწვევის ნოემბრის სესია განსაკუთრებულ მოვლენად აქცია, მისი მუშაობის ორგანიზაციულ-რეგლამენტ უ რ ი მხარე ფრიად არასახარბიელო იყო.

სესიის ყოვლი მონაწილის პატივმოყვარულ ცდუნებათაგან თავდაზღვევის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: თავდაჭერილობა და სდარბაისლე, თვისებები, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროა პარლამენტარული მუშაობისათვის. სწორედ ამგვარი გარემოს დამკვიდრებისთვისაა აუცილებელი სხდომების საჭირო კალაპოტით ფრთაშვა, რაც აუცილებლად გულისხმობს „მტკიცე ხელს“, პარლამენტის შეუცდარსა და უნარიან ხელმძღვანელობას. მით უმეტეს ახლა, როცა პარლამენტარიზმი ჩვენი თანამედროვეობის მეტად ნიშანდობლივი და უმნიშვნელოვანესი მხარე ხდება, ხოლო მომავალში მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება. ამის გამო, უზენაეს საბჭოს სხდომების კვალიფიციური და წინდახედული ხელმძღვანელობა ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენს.

მაინც რა იყო ყველაზე ღირსშესანიშნავი და საყურადღებო საქართველოს უზენაეს საბჭოს ნოემბრის სესიის მუშაობაში, რა გადაწყვეტილებები მიიღო მან ისეთი, რომ მათში უფრო მკაფიოდ გამოიხატება საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ხვალინდელი დღე, დემოკრატიზმისა და საჯაროობის გაზრდილი დონე და ხალხის ლტოლვა არსებული სოციალ-პოლიტიკური პირობების არსებითი გარდაქმნისადმი?

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ სესიის მიერ ერთხმად მიღებული კანონი „საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ და, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული 69-ე მუხლი, რომელიც კონსტიტუციურ საფუძველს უქმნის საქართველოს სსრ „ავშირიდან გასვლის უფლებას.

კარგად ფორმულირებული ეს მუხლი გვეკლინება რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის გარანტიად, „ავშირიდან გასვლის უფლების შეუზღუდველი და დროით განუსაზღვრელი გამოყენების კონსტიტუციურ აქტად.

მისდ საზით ნოემბრის სესიამ მიიღო არა მარტო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, არამედ ისეთი ოპერატიული და ქმედითი ძალის საბუთიც, რომელიც მოწოდებულია ეფექტიანად აღკვეთოს ის ვერაგული ცდები, რომელთაც ბოლო დრომდე ჰქონდათ ადგილი, როდესაც მაღალი ცენტრალური ინსტანციების ზოგიერთი წარმომადგენელი სხვა და სხვა შენიღბული ხერხებით ცდილობდა სრულიად გაექარწყლებინა რესპუბლიკის „ავშირიდან გასვლის უფლება ანდა უკიდურესად შეეზღუდა და ფარტინა ქაღალდად გადაექცია იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ის პრეამბულა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ მიღებულ კანონს უძღვის, მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. ამასთან, დღევანდელობით ნაკარნახევი და უდაოდ პროგრესული, მე ვიტყოდი, თავისებურად ნოვატორულიც.

პრეამბულაში ნათქვამია, რომ გარდაქმნის პროცესი ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცება-გაფართოებას, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და საარჩევნო სისტემის მკვეთრ დემოკრატიზაციასა და სამართლებრივ სრულყოფას, საბჭოთა ფედერაციის რადიკალურ განახლებას. რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მმართველობის შედეგად სსრ კავშირი ფაქტიურად გადაიქცა უნიტარულ სახელმწიფოდ, რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს ერალური საფუძველი გამოეცალა. ამიტომ აუცილებელია ახალ კონსტიტუციაში სს რესპუბლიკის სუვერენული ინტეგრესების ყოველმხრივი გარანტირება. ამისათვის კი საჭიროა ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში ისეთი შესწორება-დამატებების შეტანა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განმტკიცებას და ყოველგვარი შენიღბული თუ შეუნიღბავი ხელყოფისაგან მის დაცვას.

განა იყო შესაძლებელი ამ ცოტა ხნის წინ ასეთი პირდაპირობითა და სიმპრეთით შეფასება საბჭოთა კანონების „წმიდათაწმიდისა“, საბჭოთა კონსტიტუციისა? ხოლო 69-ე მუხლი, — ეს ნამდვილი ხერხებალი საქართველოს სუვერენიტეტის კონსტიტუციური გარანტიისა — აშკარად გამოირჩევა ყველა იმ პროექტებისაგან, რომელიც კონსტიტუციის ცვლილებებსა და დამატებებს ეხებოდა და რომელთაც დღემდე ვიცნობდით. „საქართველოს სს რესპუბლიკა — ნათქვამია ამ მუხლში — ინარჩუნებს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, ეს უფლება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. დაუშვებელია, სსრკ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტით ან სხვა გზით სსრ კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმება ან შეზღუდვა“.

გიორგი ციციშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ვენერა ურუშაძე

ქართულ მწერლობასა და მეცნიერებას გამოაკლდა თვალსაჩინო მწერალი-მთარგმნელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1959 წლიდან სკკპ წევრი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვენერა გიორგის ასული ურუშაძე.

3. ურუშაძე დაიბადა 1909 წელს ლანჩხუთში. 1910 წელს ოჯახი გადასახლდა ნიუ-იორკში, სადაც 3. ურუშაძემ წარჩინებით დაამთავრა კოლეჯი. 1927 წელს დაბრუნდა საქმშობლოში. 1932 წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ლექტორად. 1942 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მან უმალ მიიპყრო ყურადღება, როგორც ინგლისური ენის უბადლო სპეციალისტმა. 1937 წელს 3. ურუშაძე აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე. ხოლო 1958 წელს, დისერტაციის დაცვის შემდეგ, მას მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, პოეტური ბუნებითა და გულისხმიერებით 3. ურუშაძე ხიბლავდა თავის სტუდენტებსა და ასპირანტებს, სამწერლო და სამეცნიერო საზოგადოებრიობას. როგორც მთარგმნელს მას ფართოდ გაუთქვა სახელი ქართული სამეცნიერო ენციკლოპედიის ინგლისურ ენაზე.

აღსანიშნავია მის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. ამ თარგმანებმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 3. ურუშაძის მრავალწლიანი შრომის შედეგი — „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე.

მისეული თარგმანი დიდი რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების ინგლისურ ენაზე პოეტურად ამეტყველების პირველი და ერთადერთი ბრწყინვალედ განხორციელებული ცდაა.

მისი უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის, რომ თავისი შესანიშნავი თარგმანებით მსოფლიოს ცივილიზებულ საზოგადოებას გააცნო ქართული კულტურა, ქართული მწერლობის ხელოვნებელი შედევრ

საოცრება შუაგულ ქალაქში

ᲕᲔᲠᲔᲜᲐ, ჭეშმარიტმა თბილისელმა არ იცოდეს ბუკიას ბაღი.

— ბუკიას ბაღი? საბურთალოზეა, მშვიდობის პროსპექტზე, მეტროპოლიტენის სადგურ „პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან“. საფირმო მაღაზია „ელექტრონიკის“ მეზობლად. მოკლედ, ბუკიას ბაღი ბუკიას ბაღთანაა და სხვაგან არსად! — მოკლედ გიპასუხებს ნებისმიერი გამვლელი.

ზაფხულობით, როდესაც სიცხის ბუღი ადამიანს სუნთქვას უბუთავს, ამ ბაღთან ახლო გაელაც კი შვების მომგვრელია. ნაირგვარ მცენარეთა სურნელება, შინის სინედლე, ისიც ამ შუაგულ ქალაქში, ნამდვილი ნეტარებაა.

წინ მიძეკს 1933 წლით დათარიღებული, გაყვითლებული ფოტოსურათი. მასზე ალბეჭდილია დამრეცი, ხრიოკი ფერდობი. აი ასეთი ნაკვეთი შემოლობა მაშინ მირიან ბუკიამ, მერე ბაღნარად რომ აქცია. მანამდე დიდუბეში 3 ჰექტარზე გააშენა წალკოტი და კოლმეურნეობას გადასცა. მიწაზე უზომოდ შეყვარებული კაცი, ცხადია, გულხელს ვერ დაიკრეფდა და ახლა საბურთალოზე სრულიად უნაყოფო, შიშველ ადგილზე შეუდგა შრომას.

ირგვლივ არც მეზობელი, არც მეგობარი... ძველ ლარსის ქუჩაზე მხოლოდ რამდენიმე ქოხმახი იდგა. დიდი ჯაფით და ჭაპანწყვეტით ტერასები მოაწყო. ორმოებსა და უსწორმასწორო ადგილებს მაშინ მშენებარე „თერმიტსართულიანი სახლის“ საძირკვლიდან ამოღებული მიწით ავსებდა. სასმელი წყალი ლენინის ქუჩიდან საკუთარი სახსრებით გაიყვანა და ფერდობზე სიცოცხლე დაამკვიდრა. თანდათან დასახლდა ხალხი. გაჩნდა ახალი უბანი — იყალთოს გორა.

მირიან ბუკიამ წალკოტის გაშენებაში ოჯახის წევრებიც ჩაბა. განსაკუთრებით უმცროსი ქალიშვილი ლეილა ედგა მხარში. მამას თავს ერჩივნა გამრჯე, ბუნებისმოყვარე გოგონა.

— უნიკალური ტაძრები, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს რომ ამშვენებს, ერთი ხელის დაკვრით არ აშენებულა, — ეტყოდა ხოლმე მამა, — ქართველმა კაცმა ქვა-ღორღი კალთით აზიდა მთებსა და გორაკებზე. წინაპართა მადლის დავინყება არ შეიძლება.

და მათაც აკეთეს საშვილიშვილო საქმე — რუდუნებით, დიდი მოთმინებით. საქართველოს ყველა კუთხიდან მოზიდეს ნერგები, მსოფლიოს, მრავალ სელექციონერთან გააბეს საქმიანი კონტაქტები და...

მირიანის გარდაცვალების შემდეგ შრომის მთელი სიმძიმე ლეილა ბუკიას ნაზ მხრებს დაანვა. ღირსეულმა შვილმა მამის ანდერძი გულით სათუთად ატარა, წალკოტს შეალია მთელი ჯან-ღონე, დღეს რომ ქართველი ერის კუთვნილებაა.

აქ ვარდის მრავალი უნიკალური ჯიში ხარობს. 1936 წელს დიდო ბინა ბაღში ოქროს მედალსანმა ფრანგულმა „გლორია დეიმ“ (ფრანგმა და ამერიკელმა სელექციონერებმა ამ ვარდს შემდგომში „მირი“ უწოდეს). „ელიზავეტა“ მაღალღეროიანია, არ ავადდება. „როზგოჟარს“ გვირგვინზე თეთრი ზოლები დაჰყვება, „„მირანდა“ ალისფერია (იგი საერთოდ გადაშენდა და მარტო აქ ხარობს, ამ ბაღში). „ზონდერ მელდუნგი“, „სუპერ სტარი“. „მადამ ჟიულ ბუშე“..., „ვირგო“ ანუ „ქალწული“, მხოლოდ ერთი ძირია. „ტეხას ცენტენიანი“ უძველესი ჯიშია. დიდებული სანახავია „პრეზიდენტი ჰერბერ ჰუვერი“, „მადამ ბატერფლაი“, „ალენი“...

ბაღის მშვენებაა მრავალწლიანი ხვიარა მერქნიანები — გლიცინია, კამისტეკომა, კაპრიფლორა, ლიმონურა, ერთნლიანები — 12 ჯიშის ზამბახი, ერემერუსი, პასიფლორა (ამ მცენარის მისაღებად ლ. ბუკია 4 წელიწადი იდგა რიგში); ჩიტავაშლები — ჩვეულებრივი და მინაზე გართხმული; დაფნა ინდიგა; ხეხილი; ვაზი, გრამაფონისმაგვარ ყვავილებიანი ჰიბისკუსი მხოლოდ ამ ბაღის კუთვნილებაა; ბანანი, მერქნიანი თუ ბალახოვანი აკუბა; ფურისულა, ყოჩივარდა, ია, ხარისძირა, ქართული იორდასალამი, ზეთისხილი...

ყოველივე ის, რაც ერთი თვალის გადავლებით ვიხილეთ, პატრიოტი ქალის მიერ შექმნილი დიდი განძია, ცოცხალი ხელოვნების ჭეშმარიტი ნამუშევა.

და რა საოცარია, რომ ამ წალკოტს მუმლი ეხვევა: ზოგს პირდაპირ ბაღის შუაგულში ბინათმშენებლობის გაჩაღება სურს, ზოგს — კოოპერატიული ჩიხურის ჩადგმა, ზოგს — რესტორანის აშენება — „ფულს მოგცემთ, გაგამდიდრებთ, ყელამდე აგავსებთ“. არად დაგიდევენ, რომ ბუკიას ბაღი მარტო ერთი ოჯახის კი არა, მთელი ქართველი ერის საკუთრებაა და მასზე სახელმწიფო ზრუნავს. ერთხელ განსაკუთრებით მოძალებულს რომ ვერაფერი შეაგნებინა, ქალბატონი ლეილა იძულებული გახდა მის შესაშინებლად... ჰაერში სანადირო თოფი დაექუხებინა.

ლ. ბუკია დაძაბული აყურადებს ამ საშიშ ფუსფუსს. ასეთ რთულ ვითარებაში ახლა ჩვენ გვმართებს მის მაგივრად ხელის გამოღება, რათა კვლავაც იწალკოტოს ნალკოტმა, კვლავაც იხასხასოს ადამიანის ხელით შექმნილმა ამ საოცრებამ... შუაგულ ქალაქში!

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲐᲜᲗᲐᲫᲔ.

საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების პროპაგანდის განყოფილების უფროსი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: ლეილა ბუკია თავის წალკოტში.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲓᲐᲗᲣᲨᲐᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲮᲔᲕᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ. **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲤᲣᲠᲪᲔᲕᲐᲜᲘᲫᲘᲡ ფოტო.**

ᲐᲚᲑᲝᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲦᲕᲘᲜᲝᲖᲔ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „საქართველომ“ გამოსცა ფერადი ფოტოალბომი „ქართული ღვინო“. იგი დაიბეჭდა საზღვარგარეთის პოლიგრაფიულ ბაზაზე. ალბომი, რომელშიც წარმოდგენილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა — ქართველ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები, საინტერესოდ მოგვითხრობს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაზე საქართველოში, მის მრავალფეროვნებას და მდიდარ ტრადიციებს, ამ უძველესი დარგის ადგილსა და როლს ეროვნულ ეკონომიკაში.

ალბომი „ქართული ღვინო“ შეადგინა ვლადიმერ ჭიაურელმა, შესავალი წერილს ავტორია პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. გამოცემის სპეციალური რედაქტორია ნ. მეხუზლა, საერთო რედაქტორია — გურამ ლოლაძე.

ალბომი გამოიცა ამჟამად უკვე გაუქმებული სსრ კავშირის სახგარეგნეფვის შეკვეთით და განკუთვნილი იყო მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო სიმპოზიუმების, აგრეთვე ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსებისა და დეგუსტაციების მონაწილეთათვის. ამან განაპირობა მისი ენობრივი მხარე — მასალა წარმოდგენილია რუსულ და ინგლისურ ენებზე.



დღეისათვის შექმნილი ვითარების გამო აღნიშნული ალბომის მთელი ტირაჟი — 35 ათასი საქართველოში გავრცელდება რესპუბლიკაში ჩამოსული უცხოელი სტუმრებისათვის, დაინტერესებული ტურისტებისათვის, და, რა თქმა უნდა, ფართო მკითხველისათვის.

უახლოეს დროში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოვა ახალი ალბომი „ქართული ღვინო და კონიაკი“.

სამომავლოდ გამომცემლობას საინტერესო გეგმები აქვს. მკითხველები მიიღებენ ათეულობით სარეკლამო ალბომსა და ბუკლეტს, რომლებიც ასევე უცხოეთის პოლიგრაფიულ ბაზაზე დაიბეჭდება. გამოვა ალბომი „ქუთაისი“, რომელიც ეძღვნება ამ უძველესი ქალაქის იუბილეს, აგრეთვე ალბომი „მცხეთა — ქალაქი მუზეუმი“ და „მცხეთა — ქართლის სამეფოს დედაქალაქი“, „საქართველოს კურორტები“, „ბორჯომის ხეობა“, „თბილისი“ და სხვა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: ალბომ „ქართული ღვინის“ სატიტულო ფურცელი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

4-5 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ რესპუბლიკაში აღირიცხა 39 სისხლის სამართლის დანაშაული.

რამდენიმე მძიმე დანაშაული ჩადენილია ოჯახური კონფლიქტების ნიადაგზე. ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში თავის სახლში კოლმეურნე ს-მ ჩხუბის დროს რეგისტრაციაში გაუტარებელი სახადირო თოფით დაჭრა საკუთარი შვილი. ასევე ჩხუბის დროს ბორჯომში მოქალაქე მ.-მ გადაჭრილი სანადირო თოფით დაარა მოქალაქე ჟ., ხოლო თბილისა და გალის რაიონში ც.-მ, რომელიც კოლონია-სოფელში იხდის სასჯელს, და გუდაუთის დასასვენებელი ბაზის „მშენებლის“ მუშამ ლ.-მ დანით დაჭრეს ორი მოქალაქე.

ᲨᲘᲠᲘᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲓᲦᲔᲡ დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 17-22, სანაპიროზე 13-18, მთაში 15-20, მაღალმთიანეთში 6-11 გრადუსი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი.

ტემპერატურა — ბარში — 15-20, ზოგან 12-17, მთაში, 12-17, მაღალმთიანეთში 7-12 გრადუსი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი.

ტემპერატურა — 18-20 გრადუსი სითბო.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ სამხედრო მოსამსახურეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვის საქველმოქმედო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავისი დასახელებით ბუნებრივ შეკითხვებს იწვევს. დაცვა ვისგან? ვისი მეცადინეობით? რა სახსრებით? ამ და სხვა შეკითხვებს გასცა პასუხი საზოგადოების დამფუძნებელმა კონფერენციამ, რომელიც თბილისში გაიმართა.

გამოაცხადეს უკანასკნელი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამხედრო სამსახურში გაწვეული დაღუპული ქართველი ჭაბუკების ციფრი, იგი 800-ს აღწევს. მრავლად არიან ისინიც, ვინც დაინვალიდდა. ეგრეთ წოდებული „ძველბიჭობა“, ოფიცერთა მიერ ცემა-ტყეპა, სხვა დანაშაულებრივი და სამართლებრივ მოვლენები, რომლებიც ახლავს დღეს ჯარში სამსახურს, ენობრივი სიურთულეები, აკლიმატიზაციის სიძნელეები, მრავალი სამშობლოდან მოშორებული ჯარისკაცისათვის ისედაც მძიმე წლებს აუტანელ ტანჯვა-წამებად აქცევს. ამას მოწმობს შინ მოწერილი წერილები, მშობლების მრავალი საჩივარი რესპუბლიკის კომისარიატში, მის წარმომადგენელთა რეიდები სსრ კავშირის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯარის ნაწილებში.

საქართველოს არ ჰყავს დასაკარგავი შვილები. ორი აზრი აქ არ შეიძლება იყოს. ისევე, როგორც ყველ მეურნეობის მოლარის გ.-ს სახლში, თავს წაადგა დიასახლისი. დამნაშავემ დანით დაჭრა იგი, გაიტაცა ტანსაცმელი და მიიმალა. მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

სამტრედიის რკინიგზის სადგურის მილიციის სახაზო განყოფილების მუშაკებმა დააკავეს საკონსერვო ქარხნის მუშა ტ., რომელმაც მოქალაქე ბ.-ს ბელიდან გამოსტაცა საფული. ბათუმში ჯიბგირობისათვის დაკავებულია ადრე ნასამართლევი, უმუშევარი ა.

თბილისის საბურთალოს რაიონში თავიდან იქნა აცილებული ავტომაწარის გატაცება, რასაც ცდილობდა ოთხი თბილისელი მოსწავლე. ორმა დაუდგენელმა დამნაშავემ, რომლებიც მგზავრებად ჩაუსხდნენ ავტომანქანაში თბილისელ ძ.-ს, ზუგდიდის რაიონში სიტყვიერი მუქარით გადასვეს მფლობელი და მიიმალნენ მისივე მანქანით. ამ ფაქტის გამო მიმდინარეობს გამოძიება და ძებნა.

დაკავებულია რამდენიმე პირი, რომლებმაც ადრე მანქანები გაიტაცეს. ესენი არიან თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები, ხოლო თელავში— სპეციალიზებულ-დატურის მიმგრებული პირობითად მსჯავრდადებული ო. გუდაუთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა კოოპერატივ „ვოსხოდის“ რეალიზატორს ს.-ს აღმოუჩინეს და ჩამოართვეს ადრე ქალაქ სოხუმში გატაცებული ავტომანქანა ვაზ-2106.

ამბერკავკასიის რკინიგზის თბილისს საკვანძო სადგურის სახაზო განყოფილების თანაშრომლებმა ბაკო-თბილისის მატარებელში დაიკავეს საბბატვრო აკადემიის მეხუთე კურსის სტუდენტი ე., რომელსაც 252 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა.

დაკავებული არიან უმუშევარი თბილისელები ს. და ი., აგრეთვე ფასანაურის კოლმეურნეობის მწყემსი კ., რომლებიც ყაჩაღურად დაესხნენ თავს დუშეთის რაიონის სოფელ დუმაცხოს მცხოვრების ბინას, რასაც ადრე ვიუწყებოდით. გატაცებული ნივთების ნაწილი ჩამორთმეულია. მიმდინარეობს გამოძიება.

განვლილ დღეებში ოზურგეთისა და ჯავის რაიონებში მოხდა ორი ხანძარი. არის მსხვერპლი. სოფლებში ნატანებსა და უგარდანთაში დაიწვა სახლები, რომლებიც ეკუთვნოდათ ასფალტის ქარხნის მექანიკოსს ა. ყალიჩავას და პენსიონერ ქალს ვ. კოჩიეკას. ხანძრის დროს მიღებულ დამწვრობათა შედეგად ორივე სახლის მფლობელი გარდაიცვალა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲔᲡᲡᲒᲣᲠᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲘ

10 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ იწყება საქართველოს 1990 წლის ეროვნული საჭადრაკო პირველობა ქალთა შორის, შეჯიბრები, რომელიც უეჭველად, სპორტული სამყაროს ყურადღებას მიიპყრობს.

ამას უწინარეს ყოვლისა განაპირობებს ეროვნული პირველობის განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა. რად ღირს თუნდაც თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატის, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილს** მონაწილეობა. ნონა საერთოდ უნიკალური მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში. იმ ტურნირების ჩამოთვლას, რომლებშიც მან პირველი ადგილი დაიკავა, გაზეთის გვერდი არ ეყოფა. ვიტყვით მხოლოდ, რომ გამოჩენილმა მოჭადრაკემ შეინარჩუნა თავისი ფიდი ძალა და ახლაც, საქართველოს ჩემპიონატში პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი იქნება.

როდესაც **ნანა ალექსანდრიაზე** ვლაპარაკობთ, ყოველთვის პაუელ კერეკი, „მუდმივად მერო მოჭადრაკე“ გვახსენდება. 1967 წლის აქეთ არ გამართულა პრეტენდენტთა არც ერთი შეჯიბრება, ნანას რომ არ ეთამაშოს. ახლა გავიხსენოთ ორი მატჩიც მსოფლიო პირველობაზე, რომელთაგან ერთში ალექსანდრია ახლოს იყო გამარჯვებასთან. გამოჩენილ დიდოსტატს მალე მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირში ელის თამაში და ამდენად მისთვის ისეთ ძლიერ შეჯიბრებაში გამოსვლას, როგორიც საქართველოს პირველობაა, დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გასაგები მიზეზების გამო ალექსანდრიას წლეულს სათანადო სატურნირო პრაქტიკა არ ჰქონია.

მსოფლიო ჩემპიონობის უახლოესი პრეტენდენტი **ნანა იოსელიანი** ახლა ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული მოჭადრაკეა მსოფლიოში. ეს გასაგებიცაა. გულშემატკივარს ნიბლავს ნანას არა მარტო დიდი პრაქტიკული ძალა, არამედ თამაშის ელეგანტური სტილი და ბრძოლის დაუოკებელი წყურვილი. იოსელიანის პარტიებში ყოველთვის დიდი ცეცხლია დახთებული, აქ ვერ შეხვედებით უფიქრელ ყაიმებს, პაასიურ მანევრირებას. იოსელიანი, როგორც მსოფლიო პირველობის უკანასკნელი მატჩის მონაწილე, პირდაპირ პრეტენდენტია ტურნირშია მიწვეული და არც ამ შეჯიბრებამდე რჩება დიდი დრო...

ნინო გურევიელს, დიდი ნიჭისა და იშვიათი ბრძოლისუნარიანობის მოჭადრაკეს, ბევრი რამ აქვს საერთო იოსელიანთან. იშვიათად, რომ ვინმე თამაშობდეს „უკანასკნელ პაიკამდე“, ნინო კი თამაშობს! მოჭადრაკეთა უმრავლესობა ბრძოლის პროცესში რიგაცას თმობს — ნინო — არაფერს! გასაგებია, რომ თამაშის ასეთ მაერას ზოგჯერ მარცხიც მოჰყვება ხოლმე, მაგრამ ნინო თავის თავს არასოდეს ღალატობს.

ᲛᲔᲝᲗᲔᲒᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲮᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ასაკის მიუხედავად, უკვე ბევრი რამ მოისწრო: მსოფლიო ჩემპიონი იყო გოგონათა შორის, პრეტენდენტთა ტურნირშიც ითამაშა წყალტუბოში. ახლა მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მოელის. საქართველოს პირველობამ უნდა გვიჩვენოს, რამდენად მომზადებულია ეს ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდა დიდოსტატი ამჟამად.

საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაცია დიდ იმედებს ამყარებს **ᲛᲔᲝᲗᲔᲒᲔᲠᲘ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡᲖᲔ,** გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონზე, მსოფლიო პირველობის მომავალი საზონთაშორისო ტურნირის მონაწილეზე. ის, რომ კახიანს ჯერ არა აქვს დიდოსტატის წოდება, ჩვენ წმინდა ფორმალობად მიგვაჩნია. ქეთინოს უკვე გაუმარჯვია არაერთ საერთაშორისო ტურნირში და გვჯერა, რომ მისთვის საზონთაშორისო ასპარეზობა უკანასკნელი შეჯიბრება არ იქნება.

სულ სამ საქართველოს ჩემპიონატში 14 მონაწილე იქნება. უკვე დასახელებულ დიდ „ექვსეულს“, რომელიც პერსონალურად მიიწვევეს, 8 მოჭადრაკე დამატება შესარჩევი შეჯიბრებიდან: **თამარ ხუციშვილი, ცაცა ჭასოშვილი, ქეთევან მელაშვილი, ციური კობაძე, ლია სადუნიშვილი, სოფიკო ნიკოლაძე, ანგა ხურცილავა და თეა ანანიავა.**

ამჯერად მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე საქართველოს პირველობაზე არ თამაშობს. როგორც თქვა, გაცილებით ადრე თურქ ორგანიზატორებს მათ ტურნირში მონაწილეობა აღუთქვა.

ამ დანაკლისის მიუხედავად, საქართველოს 1990 წლის პირველობა ქალთა შორის სეზონის № 1 ტურნირია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

8 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ თბილისის ეროვნულ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. თბილისის „იბერიამ“ უმასპინძლა შვეიცის ოფა „ბოლმსუნდს“. შეხვედრა ქართველ ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა— 7:1 (3:0).

„იბერიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხაპოვი (დევაძე), ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია (ბაჯაღარიანი), ჯაშკარიანი (არაბიანი), რევაშვილი, ქვეცხაია (ცაბარავა, გოგიჩაიშვილი), ჯამარიული, ცაავა, გურული (ცერძევაძე), ნემსაძე. შვეიცის გუნდში გამოდგრდა ზაურ სვანძე, რომელმაც „ბოლმსუნდთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: „იბერიისა“ და „ბოლმსუნდის“ მატჩის მომენტი.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛ ᲒᲔᲜᲒᲘᲖᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲒᲘᲠᲩᲘᲐ ᲣᲒᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ფულისა და ნივთების მომგებიანი ანაბრების მოგებათა 96-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში 1990 წლის 2 აპრილს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით
3—33	50%	3—569	25%
3—68	25%	3—638	25%
3—86	200%	3—655	50%
3—146	25%	3—682	25%
3—196	25%	3—720	100%
3—200	25%	3—768	25%
3—259	25%	3—837	25%
3—300	25%	3—840	25%
3—324	25%	3—880	25%
3—393	100%	3—958	25%
3—402	25%	3—982	25%
3—469	25%		
3—492	25%		
3—582	25%		

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: თუ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანგარიშის რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია ე. ი. 3—33, 3—1033, 3—2033, 3—68, 3—1068, 3—2068 და ა. შ.

მეანაბრეს შეუძლია მის ანგარიშზე მოგებული თანხის საშუალებით შეიძინოს ნუსხაში აღნაშნული საქონელი, რომლის ღირებულება 25 პროცენტით მეტია მის ანგარიშზე ხვედრილი მოგების თანხაზე.

№№	ნივთმოგებათა დასახელება	ღირებულება
1.	ავტომანქანა ყიგული „ვაზ 21063“	9000-00
2.	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2000-00
3.	მაცივარი „მინსკი“	455-00
4.	ხორცის ელექტრომაკეპი	25-00
5.	ელექტრომიქსერი	20-00
6.	ყავის ელექტრომაფქვავი	14-00

კომისიის თავმჯდომარე — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე — ლ. ბ. კანდელაკი,

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დანაზოგების განყოფილების უფროსი — მ. ბ. ხეფაშვილი,

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი— სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დანაზოგების განყოფილების პირველი კატეგორიის ეკონომისტი — დ. ნ. ჯულუხიძე.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მომგებიანი ანაბრის მოგებათა 95-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში 1990 წლის 2 აპრილს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით
ა—6	25%	ა—588	50%
ა—59	25%	ა—598	100%
ა—85	100%	ა—635	25%
ა—140	25%	ა—676	25%
ა—197	25%	ა—688	25%
ა—228	25%	ა—725	25%
ა—247	25%	ა—769	25%
ა—253	25%	ა—815	25%
ა—350	50%	ა—870	25%
ა—382	25%	ა—914	25%
ა—428	25%	ა—935	25%
ა—447	200%	ა—970	25%
ა—509	25%		

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: თუ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანგარიშების რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია ე. ი. ა—6, ა—1006, ა—2006, ა—59, ა—1059, ა-2059 და ა. შ.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ბ. კანდელაკი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დანაზოგების განყოფილების უფროსი მ. ბ. ხეფაშვილი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დანაზოგების განყოფილების პირველი კატეგორიის ეკონომისტი დ. ნ. ჯულუხიძე.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ—ᲙᲕᲘᲠᲐ 8 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 10.00 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სუფთა დაფა“. 10.30 — ხალხური შემოქმედება. ქართული საგალობლები. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული მონეტები“. 12.15 —კონცერტი ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლის ფოლკლორული გუნდის მონაწილეობით. 12.45 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.15 — საკვირაო გამოფენა. 13.20 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.50 — კონცერტი. 14.55 — საკვირაო გამოფენა. 15.00 — „ვეტერნიკი“. 15.30 — საკვირაო გამოფენა. 15.35 — „მამული, ენა, სარწმუნოება“. 16.05 — მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი. ასრულებს საქართველოს ტელერადიოს რ. ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი. 16.45 — „თბილისი და თბილისელები. 17.30 — „შთამომავლობა“. კოტე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 21.00 — „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“. 22.00 — „ვერმია“. 22.30 — „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ (გაგრძელება).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — სპორტი ყველასათვის. 9.15— რიტმული ტანვარჯიში. 9.45— „სპორტლოტოს“ ტირაჟი. 10.00 — „დილაადრიანს!“ 11.00 — სამშობლოს სამსახურში“. 12.00 — დილის გასართობი პროგრამა. 12.30 — „მოგზაურთა კლუბი“. 13.30 — გამარჯვების 45 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „სიკვდილის არქივი“. IV სერია. 15.15 — „ჯანმრთელობა“. 16.00 — საპაერო თავდაცვის ჯარების დღე. 16.15 — მუსიკალური კიოსკი. 16.45 — სოფლის საათი. 18.00 — საბავშვო საინფორმაციო პუბლიცისტური პროგრამა. 19.30 — ფოტოკონკურსი „დედამიწა ჩვენი საერთო სახლია“. 19.35 — ფ. სარმანი „მამურე“. ფილმ-სპექტაკლი. 22.00 — „ვერმია“ 22.30 — ფიქრები მარადისობაზე. საკვირაო ზნეობრივი ქადაგება. 22.45 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.15 — რუსული სოციერება. 0.05 — „ბალეტი, ბალეტი...“.

მეორე პროგრამა. 9.15 — კონცერტი. 10.00 — დოკუმენტური ფილმის პრემიერა. 10.15 — „მარტიალი“. 10.40 — ტელეტრერებიანი მხატვრული ფილმი „იდეალური ქმარი“. 12.10 — მომძე რესპუბლიკების ქრონიკა. საატელევიზიო დოკუმენტური ფილმის პრემიერა. „ჩემი პროფესია“ (დუშანბე). 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — ცხენოსნობა. „ლეგენდულის სტადიონი“. 14.00 — მუსტფილმი. 14.20 — თქვენი გემოსაცალა. მსახიობოს